სილარიბე საქართველოში

სოციო-კულტურული და პოლიტიკური ასპექტები

სიღარიბე საქართველოში
სოციო-კულტურული და პოლიტიკური ასპექტები

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2026

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

დოკუმენტის ავტორი: ქრისტინე ჭელიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ქრისტინე ჭელიძე, "სიღარიბე საქართველოში: სოციო-კულტურული და პოლიტიკური ასპექტები", 2026*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

შინაარსი

შესავალი 4

1. სიღარიბე, როგორც ყოველდღიური გამოცდილება 5

1.1. ჯანდაცვა და განათლება 7

1.2. საცხოვრისის საკითხი 8

1.3. ტრანსგენერაციულობა 9

1.4. სიღარიბის ფემინიზაცია 10

2. კულტურა, სირცხვილი და ღირსების ჩამოშლა 11

2.1. სირცხვილი 12

2.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები 13

3. სიღარიბის ინსტრუმენტალიზება პოლიტიკაში 16

4. კაპიტალიზმი, გლობალური ჩარჩო და საქართველო 20

5. გამოსავლის ძიებაში 25

ბიბლიოგრაფია 31

შესავალი

„სიღარიბის საპირისპირო ცნება არ არის სიმდიდრე. სიღარიბის საპირისპირო ცნება არის - სამართლიანობა.“

ბრაიან სტივენსონი[1]

„მთელი ცხოვრება ვცდილობდი, თავი დამეღწია ამ გაჭირვებისგან, ან შვილებისთვის განათლება მიმეცა, რომ ისინიც არ დატანჯულიყვნენ ჩემსავით, მარა ვერაფერი შევძელი. არც სახლი, არც ჯანმრთელობა, არც ნერვები და არც არაფერი.“

ნათელა, 78 წლის

სიღარიბე ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და ღრმად ფესვგადგმული პრობლემაა თანამედროვე საქართველოში. ჩვენი ქვეყნის პოსტსაბჭოთა, დამოუკიდებლობის ისტორიას უწყვეტად გასდევს გაჭირვებისა და უქონლობის გაუსაძლის მარწუხებში მოქცეული სოციალური რეალობა - მუდმივი, შემაწუხებელი და მკვეთრად ხილული. ამ სტატიაში ყურადღება გამახვილდება სიღარიბეზე, როგორც სოციო-ეკონომიკურ გამოწვევაზე და ასევე, კულტურულ ფენომენზე, რომელიც არა მხოლოდ ადამიანის მატერიალურ კეთილდღეობას არღვევს, არამედ ღრმად ეხება და ანგრევს მის ფსიქიკას, აღქმას, თვითშეფასებას და სოციალურ სივრცეში მას მარგინალურად აქცევს. რად ფასდება, როგორ ჩამოფასდება ან გადაფასდება ადამიანის ღირსება, თავისუფლება და სიცოცხლე იქ, სადაც გარემო ჩაუდენელი დანაშაულისთვის გსჯის? როგორ ექცევა აგენტობისა და პასუხისმგებლობის საკითხები სოციალური უთანასწორობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ რეალობაში, სადაც არჩევანი ხშირად მხოლოდ ილუზია შეიძლება იყოს? ეს კითხვები აუცილებელია, თუ გვინდა, რომ გავიგოთ სიღარიბის არა მხოლოდ შედეგები, არამედ ის კულტურული და ფსიქოლოგიური ტრაექტორიები, რომლებიც მის საფუძველზე იბადება და ღარიბი ადამიანის ცხოვრების ყოველდღიურობას განსაზღვრავს.

ასევე, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ზოგადად სიღარიბისა და ღარიბი ადამიანების მიმართ სახელმწიფოს როლისა და დამოკიდებულების გამოყოფა და შეფასება - იმ მოტივების, სტრატეგიებისა და მიზნების გააზრება, რომლებიც მათი პოლიტიკის ფუნდამენტში დევს; ის, თუ რამდენად ქმედითია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები სინამდვილეში და როგორ იყენებს მმართველი კლასი სიღარიბეს, როგორც ინსტრუმენტს - მართოს ადამიანების აზრი და ნება.

ამ სტატიაში სიღარიბე განიხილება არა როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ როგორც სისტემური პრობლემა, რომელიც განგრძობით ჩაგვრას ბადებს.

საქართველო, როგორც გლობალური კაპიტალისტური სისტემის ნაწილი, ვერ განიხილება მოწყვეტილად იმ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებისგან, რომლებიც ქვეყნის შიგნით არსებულ სოციალურ უთანასწორობას აძლიერებენ. სიღარიბის ანალიზი მხოლოდ ადგილობრივი გარემოებების შეფასებით არ არის საკმარისი - აუცილებელია მისი გააზრება გლობალურ კონტექსტშიც, რათა სრულად გავიგოთ, თუ როგორ მუშაობს ეს

[1] შენიშვნა: ტექსტში მოცემული ციტატები არის ავტორის ნათარგმნი და შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული.

მექანიზმები და როგორ შეიძლება მათზე რეაგირება. როგორც გაიატარი სპივაკი აღნიშნავს, გლობალური ეკონომიკა არა ნეიტრალური, არამედ ძალაუფლების ასიმეტრიული განაწილების სივრცეა, სადაც „მარგინალიზებული ჯგუფები ხშირად აღმოჩნდებიან არა მხოლოდ უხილავები და ხმაწართმეულები, არამედ სრულიად გარიყული საყოველთაო წარმოდგენიდან“ (Spivak, 1988). სწორედ ამიტომ, სიღარიბეზე საუბრისას, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ იმ გლობალურ პოლიტიკებსა და ეკონომიკურ პრინციპებზე, რომლებიც ეროვნულ დონეზე სოციალური უსამართლობის განმტკიცებას უწყობს ხელს.

სტატია ემყარება თვისებრივ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური დახმარების მიმღებთა გამოცდილების, აღქმისა და ემოციური რეალობის ინტერპრეტაციას. კვლევის ემპირიული ნაწილი მიღებულია ზეპირი ისტორიებისა და ნახევრად სტრუქტურირებული, სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, რომლებიც ჩატარდა 15 სოციალურად დაუცველ ადამიანთან. რესპონდენტები მიზნობრივად შეირჩა და მონაწილეობდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მინიმუმ 5 წელია, სოციალურ დახმარებას იღებენ, რაც შესაძლებელს ხდიდა სოციალური პოლიტიკის ხანგრძლივი ეფექტების, ბიუროკრატიულ პროცესებთან ურთიერთობისა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზემოქმედების დინამიკის გაანალიზებას. ინტერვიუები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე კახეთსა და იმერეთში, რამაც შესაძლებელი გახადა რეგიონული თავისებურებების შედარებითი შეფასება. ინტერვიუები ინდივიდუალურ გარემოში მიმდინარეობდა, რაც ნდობისა და რეფლექსიისთვის უსაფრთხო სივრცეს უზრუნველყოფდა. მიღებული მონაცემები გაანალიზდა თემატური კატეგორიზების მეთოდით, რამაც გამოკვეთა გამეორებადი ნარატივები, ძირითადი სირთულეები და სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ადამიანების გამოცდილებებს განსაზღვრავს. ასევე, კვლევაში გამოყენებულია თეორიის სტრუქტურული ანალიზი, რამაც შესაძლებელი გახადა საქართველოს გლობალურ კონტექსტში განხილვა და კვლევის საკითხს უფრო ფართო ხედვა მისცა.

1. სიღარიბე, როგორც ყოველდღიური გამოცდილება

დროთა განმავლობაში, სიტყვა „სიღარიბე“ არაერთხელ გამეორებულ, ზოგად და აბსტრაქტულ ცნებად იქცა, ხოლო მის მიღმა დარჩა ის ყოველდღიური, კონკრეტული და ხშირად მტკივნეული ყოფა, რომელიც ამ ცნებას განსაზღვრავს. სიღარიბე არა მხოლოდ ეკონომიკური სტატუსია, არამედ ყოველდღიური ბრძოლა გადარჩენისთვის: ვერგადახდილი კომუნალური გადასახადები, გადადებული ან გაუქმებული სამედიცინო მომსახურება, საჭირო წამლებზე უარის თქმა, საკვების უკმარისობა და მუდმივი დაძაბულობა მიზერული სოციალური დახმარების ირგვლივ - მისი მოლოდინითა თუ დაკარგვის შიშით.

ეს მდგომარეობა, უმეტეს შემთხვევაში, დროებითი არ არის. მას ქრონიკულობა და დროში განგრძობითობა ახასიათებს, რაც, თავის მხრივ, სოციალურად განვრცობილ შედეგებს იწვევს: ხარისხიანი განათლების ხელმიუწვდომლობას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, უსახლკაროდ დარჩენის რისკებსა და მრავალწლიან ვალებში გახვევას. როგორც მაიკლ ჰარვი აღნიშნავს, კაპიტალიზმის ლოგიკა უკვე იქამდეც კი მივიდა, რომ „წართმევისა და დაგროვების პროცესები აღარ არის გამონაკლისი ან გარდამავალი ეტაპი, არამედ ნორმა - სტრუქტურულად გამეორებადი მექანიზმი“ (Harvey, 2003). სიღარიბის გამოცდილება სწორედ ამ ნორმალიზებული

ჩაგვრის ნაწილია - პროცესისა, რომელიც ადამიანებს არა უბრალოდ საჭიროებების გარეშე ტოვებს, არამედ სისტემურად ართმევს ყოველგვარ შესაძლებლობას.

ამ ყველაფრის ფონზე კი სიტყვა - „სიღარიბე“, ხშირად აღარ გამოხატავს იმ ტკივილს, სიმძიმეს, დანაკარგსა და მუდმივ შიშს, რომელიც მას თან სდევს. ამიტომ სიღარიბეზე საუბრისას, აუცილებელია, მუდმივად გვახსოვდეს, რომ ეს უბრალოდ ცარიელი კონცეპტი კი არაა, არამედ - ადამიანური ყოფის უკიდურესად რთული და განგრძობითი მდგომარეობა.

„ბევრჯერ ყოფილა, პურის და მჭადის ფქვილი შემირევია ერთმანეთში, რომ ბავშვებს რამე ეჭამათ.“

დალი 46 წლის

2024 წლის მონაცემებით, საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 9.4 % ცხოვრობდა, რაც წინა წლებთან შედარებით ფაქტობრივად განახევრებული მონაცემია (geostat.ge), თუმცა სტატისტიკური მაჩვენებლების შემცირება ყოველთვის არ მიუთითებს სიღარიბის ფაქტობრივ შემცირებასა თუ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. რიცხვების მიღმა არსებული რეალობა ბევრად უფრო კომპლექსური და მრავალგანზომილებიანია.

სიღარიბის მაჩვენებლის დროებითი კლება, შესაძლოა, განპირობებული იყოს ისეთი გარე ფაქტორებით, როგორიცაა, მაგალითად, ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი - ბოლო წლებში ემიგრაცია რეკორდულად გაიზარდა. მხოლოდ 2021-2024 წლებში ქვეყანა 158 000-მდე საქართველოს მოქალაქემ დატოვა (geostat.ge). ემიგრაციასთან ერთად, შეიძლება სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებელიც შემცირდეს, თუმცა თავად სოციალური ვითარება არ იცვლება და ხშირად უარესდება იმ ადამიანებისთვის, ვინც საქართველოში რჩება.

გარდა ამისა, სიღარიბის შემცირებული სტატისტიკა შეიძლება კორელაციაში იყოს სახელმწიფოს მიერ გაწეული სოციალური დახმარების პროგრამებთან. 2025 წლის დეკემბრის მონაცემებით საარსებო შემწეობას 708,017 ადამიანი იღებს. ეს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 19,11%-ს შეადგენს, რაც ისტორიულ მაქსიმუმთან ახლოსაა (სააგენტო, 2025). ამგვარი სტატისტიკური ზრდა, თავისთავად, არ ადასტურებს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესებას. ხშირ შემთხვევაში, ის უბრალოდ იმ ადამიანების რაოდენობის მატებას ასახავს, ვინც უკიდურეს მდგომარეობამდე მივიდა და სახელმწიფოსგან დახმარება სჭირდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბავშვების მდგომარეობა - მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული გარე მხარდაჭერასა და სისტემურ სტაბილურობაზე. 2025 წლის დეკემბრის მონაცემებით 0-18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 278,639 ბავშვი იღებს საარსებო შემწეობას (სააგენტო, 2025). ეს ნიშნავს იმას, რომ ათიათასობით ბავშვი იზრდება ფიზიკური, სოციალური და საგანმანათლებლო რესურსების გარეშე, რაც მომავალში მათი შანსების სიმწირესა და სიღარიბეში ჩარჩენას განაპირობებს.

აქედან გამომდინარე, სიღარიბის სტატისტიკის მიღმა დგანან რეალური ადამიანები - ასი ათასობით სუბიექტი, რომლებიც ისეთი საბაზისო საჭიროებების მიღმა რჩებიან, როგორიცაა, საკვები, საცხოვრებელი, ჯანდაცვა, მედიკამენტები და ხარისხიანი განათლება. მათი ყოველდღიურობა ხშირად არის გადარჩენის სტრატეგიების ძიება და მინიმალური რესურსების შოვნაზე ორიენტირებული გაუსაძლისი შრომა.

1.1. ჯანდაცვა და განათლება

„ჩემი შვილიშვილი, 4 წლისაა მარიამი.. ამის დაავადება ისეთია, წელიწადში 5 გამოკვლევა მაინც უნდა გავუკეთოთ, რომ რამე არ გაგვეპაროს. სახელმწიფო მხოლოდ ერთ გამოკვლევას აფინანსებს წელიწადში. მივალ ხოლმე და ვწერ განცხადებას გამგეობაში, ხან დამიფინანსებენ ერთს კიდევ, ხან არა, მაგრამ ამდენი ხვეწნაც არ შემიძლია.“

ქეთევანი, 61 წლის

ქეთევანის ეს მონათხრობი მკაფიოდ აღწერს სოციალური დაცვის სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ ნაკლს - „სოციალური დაცვის“ პარადოქსს, სადაც დახმარება დამოკიდებულია არასტაბილურ და ღირსების შემლახავ ბიუროკრატიულ პროცესზე. სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებული ადამიანები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე „მუდარის რეჟიმში“, რადგან ძალაუფლების სტრუქტურები მარგინალიზებულ ჯგუფებს არამხოლოდ მატერიალურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც აკონტროლებენ. მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან დაფუძნებულია არა მოქალაქეობრივ თანასწორობაზე, არამედ ისეთ მყარად გამტკიცებულ იერარქიულ მიმართებებზე, სადაც ღარიბი ადამიანი მუდმივად მოთხოვნის, ლოდინის და ხშირ შემთხვევაში, უარყოფის რეჟიმშია.

მნიშვნელოვანი მიგნება, რომელიც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, არის რესპონდენტების დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი. რესპონდენტების უმრავლესობა სოციალურ დახმარებას სახელმწიფოს ვალდებულებად არ აღიქვამს. უფრო მეტიც, მათ შორის ფართოდ გავრცელებულია განცდა, რომ სიღარიბე მათივე პირადი წარუმატებლობისა და პასუხისმგებლობის შედეგია. სახელმწიფო კი მათთვის არა როგორც მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტი, არამედ როგორც შეზღუდული რესურსების მქონე ინსტიტუციაა, რომელიც *„რაც შეუძლია, უკვე აკეთებს“* და ამიტომაც მადლიერებას იმსახურებს. ამის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანები არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ სიმბოლურადაც მარგინალიზდებიან: მათ ეუბნებიან, რომ რაც აქვთ, *„იმის ღირსები არიან“*. ამგვარი მადლიერების გრძნობა სახელმწიფოს მიმართ უბრალოდ ემოციურ გამოხატვას კი არ ემსახურება, არამედ მოქმედებს როგორც პოლიტიკური ჩაგვრის მექანიზმი. ის ცვლის სამოქალაქო სუბიექტს პასიურ ბენეფიციარად, რომელიც აღარ ფლობს იმ ენას, რომლითაც შესაძლებელი გახდება სოციალური მოთხოვნების ფორმულირება ან თუნდაც, სახელმწიფოსთან „ულტიმატუმის“ ენით საუბარი. ამასთანავე, ეს ქმნის ფსიქოლოგიურ დატვირთვას, სადაც „თხოვნა-დახმარების“ რეჟიმი საკუთარი უფლებების უარყოფაში ტრანსფორმირდება.

ქეთევანის ამ ციტატიდან კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს თემაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, კერძოდ ჯანდაცვის სისტემაზე. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც კონსტიტუციური უფლებაა, რეალობაში, ხშირ შემთხვევაში, გამორიცხულია დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის. როგორც რესპონდენტის შემთხვევა გვიჩვენებს, სახელმწიფოს არ გააჩნია არც პრევენციული ზრუნვის ღირსეული პოლიტიკა და არც გადაუდებელი მკურნალობისთვის საჭირო რესურსი. ჯანმრთელობის დაცვის გარეშე, სხვა თავისუფლებებისა და უფლებების დაცვაზე საუბარი ზედმეტია. სწორედ ჯანმრთელობა, განათლება და საცხოვრისი წარმოადგენს იმ ბირთვს, რომლის გარეშეც ადამიანის შესაძლებლობების ჰორიზონტი კატასტროფულად ვიწროვდება.

ფილოსოფოსი ამანტია სენი ამბობს, რომ *„სიღარიბე მხოლოდ მატერიალური მდგომარეობა არ არის. სიღარიბე, პირველ რიგში, ადამიანური შესაძლებლობების ჩახშობაა.“* განათლებაზე წვდომის საკითხიც პირდაპირ აისახება სიღარიბის ფართო ბუნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად საქართველოში სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია, მრავალი ოჯახისთვის მასთან დაკავშირებული ხარჯები - სასკოლო ნივთები, ტანსაცმელი, კვება - გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს. 2022 წელს ჩატარებული PISA-ს კვლევის თანახმად, საქართველოში 15 წლის მოსწავლეების აკადემიური მიღწევები მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს, რაც სისტემურ პრობლემაზე მიუთითებს: სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას. იმისათვის, რომ ბავშვებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება, ხშირად აუცილებელია დამატებითი რესურსების გამოყენება, როგორიცაა მათი კერძო რეპეტიტორთან მომზადება ან კერძო სკოლაში სწავლა, რაც მშობლებისთვის დამატებით ფინანსურ ხარჯებს უკავშირდება. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხარისხიანი განათლება მხოლოდ ეკონომიკურად მაღალი კლასის პრივილეგიაა.

> *„ჩემი შვილი 11 წლისაა, გიჟდება ფეხბურთზე, ისე უყვარს, დადიოდა, თამაშობდა, მასწავლებელი გიჟდებოდა, მაგრამ ველარ დაგვყავს. იქ მწვრთნელი წავიდა, ვისთანაც უფასოდ დადიოდა და სხვაგან ველარ მივიყვანეთ, აბა როგორ გადავიხდით?!“*
>
> *თამარი, 37 წლის*

თამარის მონათხრობი ხაზგასმით აჩვენებს, რომ ბავშვის შესაძლებლობები ხშირად განისაზღვრება არა მისი უნარებითა თუ ინტერესებით, არამედ იმ ეკონომიკური სტატუსით, რაც მის ოჯახს გააჩნია. როგორც სპივაკი აღნიშნავს, მარგინალიზებულ სუბიექტს „ვერ ექნება ხმა“, სანამ მას სტრუქტურულად გარანტირებული სივრცე არ ექნება, რომელშიც მისთვის შესაძლებელი იქნება თვითგამოხატვა, განვითარება და მოქალაქეობრივი მონაწილეობა (Spivak, 1988)

1.2. საცხოვრისის საკითხი

> *„არაფერი არ მინდა მთავრობისგან მე, არაფერი! მხოლოდ ეს ქირა გადამიხადოს და დანარჩენს ჩემით მივხედავ. ყოველთვიურად ამხელა ქირის გადახდა მკლავს, მანადგურებს. არა და ქუჩაში ხომ ვერ დავტოვებ ამათ - ჩემი შვილი საერთოდ ველარ ხედავს თვალებიდან, მაგას მუშაობა არ შეუძლია, მაგის ცოლი და ჩემი შვილიშვილი 2 წლისაა. ჩემი თავი ჯანდაბას, ამათ რა ვუყო?!“*
>
> *ჟანა, 50 წლის*

ინტერვიუებიდან ვიგებთ, რომ საცხოვრისზე წვდომა ერთ-ერთი უმძიმესი გამოწვევაა განსაკუთრებით ქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. საცხოვრებელი სივრცის არქონა ან მისი დაკარგვის მუდმივი შიში, ხშირად ცალკე ტრავმად იქცევა. სახელმწიფო არ უზრუნველყოფს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის ქირით სტაბილურ დახმარებას ან ხელმისაწვდომი საცხოვრისის პოლიტიკას, რაც არსებითად არღვევს არა მხოლოდ სოციალურ

სამართლიანობას, არამედ ადამიანურ ღირსებასაც. იგივე პრობლემაა კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებითაც:

> *„სამი მცირეწლოვანი ბავშვი მყავს სახლში და გუშინ გაზი გამითიშეს, იმიტომ რომ ვერ გადავიხადე.“*
>
> *ლელა, 33 წლის*

სოციოლოგი ლოიკ ვაკანი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოში სიღარიბის მართვა ხშირად ისეთ ინსტიტუციურ სტრუქტურებს ეფუძნება, რომლებიც უფრო მეტად დასჯასა და კონტროლზე არიან ორიენტირებული, ვიდრე რეალურ სოციალურ მხარდაჭერაზე (Wacquant, 2009). ამ ლოგიკაში ჯდება ის მოქალაქეც, რომელიც მუდმივად დახმარების ძიებაშია - ვერ უმკლავდება კომუნალურ გადასახადებს და ვერ ახერხებს საკუთარი შვილის დამატებით საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვას, რადგან ქვეყანაში არსებული სოციალური პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების თანასწორ შესაძლებლობებს.

1.3. ტრანსგენერაციულობა

სიღარიბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მწვავე ასპექტია მისი ტრანსგენერაციულობა, როდესაც სიღარიბე თაობიდან თაობას გადაეცემა და არა დროებით კრიზისად, არამედ ცხოვრების მუდმივ ფორმად იქცევა. ეს პროცესი ხშირად იძენს ნორმალიზებულ სახეს: ინდივიდებსა და ოჯახებს არ აქვთ სიღარიბიდან გამოსვლის რესურსი და ძალიან იშვიათად თუ ელიან გარდატეხას.

დაბალი ხარისხის განათლება საჯარო სკოლებში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საბაზისო კომპეტენციების ჩამოყალიბებას, განაპირობებს დაბალშემოსავლიან, არასტაბილურ და ხანმოკლე დასაქმებას. ასეთ პირობებში ადამიანები პირველად საჭიროებებს ვერ იკმაყოფილებენ. შედეგად, მათი შვილებიც იზრდებიან იმავე დეფიციტურ გარემოში და მემკვიდრეობით იღებენ არა მხოლოდ ეკონომიკურ გაჭირვებას, არამედ მცდარ მოლოდინებს, გაურკვეველ მომავალსა და დაბალ თვითშეფასებას.

> *„ძალიან მინდოდა ჩემი შვილებისთვის განათლება მიმეცა, ჩემი ბიჭისთვის განსაკუთრებით, აინტერესებდა სწავლა, ჩაბარა, მაგრამ მე-4 კურსზე რომ იყო, შეწყვიტა, ველარ იარა, ველარც გული დაუდო და რა ვიცი, გახედვა აღარ უნდოდა და ვერ დაამთავრა. გოგო მე-9 კლასიდან გამოვიდა და დარჩნენ ესე, ფაქტობრივად ორივე უმუშევარია ახლა. ძალიან ბევრი რამე დავაკელი ჩემ შვილებს, ვერც მასწავლებლებთან ვატარე, ვერც უცხო ენა ვასწავლე და ვერაფერი.“*
>
> *მანანა, 58 წლის*

თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სიღარიბის სტრუქტურულ მიზეზებზე დამყარებულ, გრძელვადიან და მრავალშრიან რეაგირებას, მათ შორის, განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ღირსეული ანაზღაურებადი სამუშაოს ხელმისაწვდომობასა და ჯანმრთელობის დაცვას, მაშინ სოციალური შემწეობა რჩება ზედაპირულ ფორმად, რომელიც მხოლოდ დროებით შველის ან

ვერც შველის მათ გამოწვევებს და არა გარდაქმნას/ტრანსფორმაციას, არამედ დახმარებაზე დამოკიდებულებას უწყობს ხელს.

1.4. სიღარიბის ფემინიზაცია

სიღარიბის ანალიზისას აუცილებელია მისი გენდერული განზომილების გათვალისწინება. რესპონდენტი ქალების სრულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ვერ ახერხებს ან ვერ ახერხებდა შემოსავლიანი სამუშაოს მოძებნასა და შესრულებას მცირეწლოვანი შვილების მოვლის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ოჯახში ბავშვების მამა ფიზიკურად არსებობს ან არსებობდა, საოჯახო და მზრუნველობითი შრომა მთლიანად, მაინც, მხოლოდ ქალის პასუხისმგებლობად რჩება. ქალები, ფაქტობრივად, ჩაკეტილები არიან აუნაზღაურებელ შრომაში, რაც მათ ეკონომიკურ მოწყვლადობას კიდევ უფრო ამძაფრებს და ზრდის სოციალურად დაუცველობაში დარჩენის ალბათობას.

> *„მე კი მინდა რომ ვიმუშაო, მაგრამ ბავშვებს ვინ მიხედავს ჩემს გარდა?! ხანდახან დედაჩემი მოდის ხოლმე ჩემთან, სარეცხის გარეცხვაში და სახლის საქმეებში მეხმარება, მაგრამ ყოველ დღე არ შეუძლია და ვერც ვთხოვ.“*
>
> *ლელა, 33 წლის*

აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ფემინიზაცია - ტერმინი, რომელიც აღწერს სიღარიბის დისკრიმინაციულად მაღალ გავრცელებას ქალებში, უკვე მრავალწლიანი დისკუსიის საგანია სოციალურ და ფემინისტურ თეორიებში. როგორც სილვია ფედერიჩი აღნიშნავს, „ქალების აუნაზღაურებელი შრომა მხოლოდ „საოჯახო“ საქმე არ არის, არამედ კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნდამენტური საყრდენია“ (Federici, 2004). ქალების მზრუნველობით შრომაზე დამოკიდებული სტრუქტურა არა მხოლოდ აღრმავებს გენდერულ უთანასწორობას, არამედ უშუალოდ იწვევს სიღარიბის ფემინიზაციას.

ეს ფენომენი მკაფიოდ აჩვენებს, რომ სიღარიბის დაძლევის სტრატეგიები ვერ იქნება ეფექტიანი, თუ ისინი ვერ ჩაანაცვლებს იმ სისტემურ პირობებს, რომლებიც ქალებს სამუშაო ძალისგან გამორიცხავს და აიძულებს, აუნაზღაურებელი შრომის ტვირთი ზიდონ. არსებული სოციალური პოლიტიკა უგულებელყოფს მზრუნველობით შრომას და ქალთა ეკონომიკურ დაუცველობას აძლიერებს.

> *„მე სანამ ბავშვი შემეძინებოდა, ჩემს ქმარზე მაღალი ხელფასი მქონდა და მშვენივრად ვიყავი, თუმცა ის კი სხვა დრო იყო, მაგრამ მაინც. ბავშვი რომ მეყოლა, დავანებე მუშაობას თავი. მერე ჩემი ქმარიც ავად გახდა, მოვლა სჭირდებოდა და დავრჩი ასე.. ვუვლიდი ოჯახს.“*
>
> *ნატო, 69 წლის*

აუცილებელია, რომ სიღარიბის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკებში, ცენტრალური ადგილი გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებს ეკავოს, როგორიცაა, მაგალითად, საბავშვო მოვლის სერვისების ხელმისაწვდომობა და გენდერული როლების დეკონსტრუქცია განათლებისა და სოციალური კამპანიების მეშვეობით.

სტატიაში მოცემული ემპირიული მაგალითები საქართველოში სიღარიბის ყოველდღიური რეალობის დახასიათების მიზანს ემსახურებოდა. ქვემოთ მოცემული იქნება სიღარიბის განმაპირობებელი მექანიზმების თანმიმდევრული ანალიზი, ანუ მოხდება იმ ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც არა მხოლოდ წარმოშობენ სიღარიბეს, არამედ საზოგადოებაში მის გამყარებასა და კვლავწარმოებას განაგრძობენ.

2. კულტურა, სირცხვილი და ღირსების ჩამოშლა

სიღარიბის არსი და ბუნება იმდენად ფართო და მრავალშრიანია, რომ მისი სრულფასოვანი გაანალიზება მხოლოდ ემპირიული აღწერით ან ცალკეული დისციპლინური მიდგომით შეუძლებელია. აუცილებელია, სიღარიბის კვლევას ჰქონდეს ინტერდისციპლინური ხასიათი, რაც მისი ეკონომიკური განზომილების მიღმა არსებული ფსიქოლოგიური, კულტურული და ფილოსოფიური ასპექტების გათვალისწინებას გულისხმობს. ამგვარი ჰოლისტური მიდგომა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიღარიბის რეალური საფუძვლების გამოვლენისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ თავი ავარიდოთ ზედაპირულ დამოკიდებულებებს, სტერეოტიპულ დიაგნოზებსა და ინდივიდის მორალურ შეფასებაზე დაფუძნებულ მიდგომებს. სიღარიბის ანალიზი აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს მის ფესვებში ჩასვლას და რეალური განმაპირობებელი მიზეზების პოვნას - თუ როგორ პირობებსა და სისტემურ მექანიზმებში იბადება, მკვიდრდება და მყარდება იგი. მხოლოდ ამგვარი ანალიზი შეიძლება გახდეს ფუნდამენტი სიღარიბესთან ბრძოლის უფრო ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებისა და შესაბამისად, უფრო სამართლიანი სოციუმისთვის.

სტატიის ეს ნაწილი არა მხოლოდ სიღარიბის ფენომენის სიღრმისეულ შესწავლას ისახავს მიზნად, არამედ, ასევე, ცდილობს, დასვას კრიტიკული კითხვები იმ დომინანტური ნორმებისა და დისკურსების შესახებ, რომლებიც სიღარიბის მიმართ დამკვიდრებულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს ასაზრდოებენ. ასეთი ნორმები, რომლებიც ხშირად ბუნებრივად აღიქმება, არ არის ნეიტრალური, რადგან ისინი იმ იდეოლოგიური ჩარჩოების ფარგლებში ფორმირდება და მკვიდრდება, რომლებიც კოლონიურ, კაპიტალისტურ და პატრიარქალურ სისტემებზეა დამყარებული. ამ პროცესის გასააზრებლად, პიერ ბურდიეს მიერ შემუშავებული ჰაბიტუსისა და სიმბოლური ძალაუფლების ცნებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სოციალურ სივრცეში, დომინანტური კლასების მიერ ნაკარნახევი მორალური და კულტურული კოდების ნორმალიზება, რაც ღარიბების მიმართ სისტემურ გაუცხოებას აძლიერებს (Bourdieu P. , 1984). აქვე, უნდა ვახსენოთ სპივაკის უმნიშვნელოვანესი კრიტიკა „სუბალტერნის“ სუბიექტის ჩუმად ყოფნის შესახებ, რომელიც სვამს კითხვას, რამდენად არის ღარიბი ადამიანი წარმოდგენილი საზოგადოებრივ დისკურსში საკუთარი ხმითა და ენით და არა დომინანტური სტრუქტურების მიერ წარმოდგენილი ჩარჩოებით (Spivak, 1988).

ამგვარი კრიტიკული მიდგომა და ანალიზი დაგვეხმარება, დავინახოთ სიღარიბე არა როგორც ინდივიდუალური მარცხის შედეგი, არამედ როგორც სტრუქტურულ ძალაუფლებასთან ღრმად დაკავშირებული მდგომარეობა, რომლის დეკონსტრუქციაც სოციალური სამართლიანობის გზაზე აუცილებელია.

2.1. სირცხვილი

„არ მიყვარს, ჩემ შვილს თავისი კლასელი თუ მოყავს სახლში, აი ძალიან არ მიყვარს.. რას იფიქრებს, ამ სახლს რომ დაინახავს და ამ მდგომარეობას.. ეტყვის დედამის ან სხვა ბავშვებს ალბათ.. მშობლები რომ მიდიან-მოდიან ერთმანეთში, მე არ დავდივარ არსად, არც აქ მომყავს არავინ...“

თამარი, 37 წლის.

ეს სიტყვები კარგად ასახავს იმ უხილავ, თუმცა მძლავრ ზეწოლას, რომელსაც ადამიანი განიცდის სიღარიბის სტიგმატიზებულ სოციალურ კონტექსტში. როგორც უკვე ვთქვით, სიღარიბე მხოლოდ ეკონომიკურ სიკეთეებზე ხელმიუწვდომლობა არ არის, ის კულტურულად დამკვიდრებული სირცხვილის წყაროა, რომელიც ადამიანის თვითშეფასებას, სოციალური არსებობის ფორმებსა და ადამიანური ურთიერთობების ნორმებს არღვევს, ამცირებს და ანგრევს.

კაპიტალისტური სისტემა მხოლოდ ეკონომიკური სისტემა არ არის, მას ასევე აქვს კულტურული განზომილება, რომელიც ადამიანებში შეჯიბრებითობის ბუნებას აქტიურად ამკვიდრებს. ასეთ საზოგადოებებში წარმატება და წარუმატებლობა წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური ზნეობრივი მდგომარეობები. ის, ვისაც არ აქვს მატერიალური რესურსები, განიხილება არა როგორც სისტემური უთანასწორობის მსხვერპლი, არამედ როგორც მარცხის ერთგვარი მორალური სიმბოლო. პრინციპში, ასეთ საზოგადოებებში, უთანასწორობაც ბუნებრივ მოვლენად, ნორმად განიხილება. რიჩარდ სენეტი და ჯონათან კობი „The Hidden Injuries of Class“-ში აღწერენ, როგორ გადაიქცა კლასობრივი დაყოფა მორალურ განაჩენად: „სიღარიბეს თან სდევს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სიმდაბლის განცდა, რომელსაც თავს გვახვევს შეჯიბრებითობით გაჟღენთილი კულტურა“ (Cobb, 1993).

სირცხვილი, როგორც სოციალური ემოცია, ამ კონტექსტში მოქმედებს როგორც ძალაუფლების ინსტრუმენტი - ემოცია, რომელსაც წარმოქმნის კავშირის დარღვევის, სოციუმიდან გარიყვის შიში. როცა ღარიბ ადამიანს საკუთარი სახლის, ანუ ყოფის ჩვენება არ სურს სხვებისთვის, როგორც ეს თამარის შემთხვევაშია, ეს ნიშნავს, რომ მან საკუთარ თავს საზოგადოების თვალით შეხედა და დაინახა, როგორც უარყოფილი. საკუთარი თავის საზოგადოების თვალით დანახვა, როგორც მას ჟან პოლ სარტრი აღწერს - თვითშეგნების გარდატეხის მომენტია, როდესაც სუბიექტი საკუთარ თავს აღიქვამს, როგორც ობიექტს სხვების ცნობიერებაში: *„სირცხვილი არის ის, რაც ჩვენში იბადება მაშინ, როდესაც საკუთარი თავის სხვების თვალით ყურებას ვიწყებთ“* (Sartre, 1956). თამარის თვითდამალვისა და თვითგარიყვის სურვილიც - *„არც აქ მომყავს არავინ“* - სწორედ სარტრისეული *„სხვის თვალში საკუთარი თავის დანახვის“* ტრავმულ გამოვლინებად შეგვიძლია განვიხილოთ.

კაპიტალისტური შეჯიბრებითობის ლოგიკა, რომელიც ინდივიდს საკუთარ ეკონომიკურ წარმატებაზე სრული პასუხისმგებლობის მატარებლად წარმოაჩენს, ამყარებს დისკურსს, რომლის მიხედვითაც სიღარიბე პირადი მარცხის, სიზარმაცისა და არასაკმარისი მონდომების შედეგია. სიღარიბისადმი ასეთი მიდგომა, ასევე, კარგად ზის ნეოლიბერალური რეჟიმების ბუნებაში - ისინი ცდილობენ სიღარიბის ამაზრზენად წარმოჩენას, რათა ლეგიტიმაცია მიანიჭონ საზოგადოებრივ გამიჯვნას და გაამართლონ ღარიბი ადამიანების საჯარო სივრციდან გაუჩინარება (Tyler, 2013).

ასეთი სტრუქტურული გარიყვა, განდევნა (Abjection) აყალიბებს კულტურულ მორალს, სადაც ღარიბი ადამიანისთვის სოციალური ურთიერთობა - სტუმრის მიღება, გარეთ გასვლა, სხვადასხვაგვარი კავშირის დამყარება - სირცხვილის წინასწარი გრძნობის ფონზე ფერხდება. თამარი უარს ამბობს სოციალურ კონტაქტზე არა პირადი ხასიათის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი შეურაცხმყოფელ ინტერპრეტაციებს ელოდება თავისი ცხოვრების პირობებზე. ეს სტიგმა თვითონ ადამიანში კი არ არის, არამედ სოციალურ ნორმებში, რომელიც სიღარიბეს თუ ღარიბად ყოფნას მორალურ სიბინძურედ წარმოაჩენს. სწორედ ამიტომ, სიღარიბეს თან უხილაობის სურვილი ახლავს - ნებაყოფლობითი თვითმარგინალიზაცია, როგორც სტრატეგია სირცხვილის თავიდან ასაცილებლად.

> *„მე სულ ვეჩხუბები ჩემს ქმარს, რომ ვერ გვარჩენს ისე, როგორც საჭიროა. ეხლა შენ მაგ დამტვრეულ ტახტზე რომ ზიხარ, მცხვენია.. რომ ვიცოდი უნდა მოსულიყავი, ვნერვიულობდი, სად უნდა დამეჯინე წესიერად და რა უნდა მომერთმია შენთვის. აქ რომ შემოდის ვინმე სულ მცხვენია - ეს ერთი ოთახი რომ გვაქვს და ესეც ესეთ მდგომარეობაში, რას იფიქრებს-მეთქი.“*
>
> *ნანა, 43 წლის.*

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ეს მორალური კონსტრუქციები არც შემთხვევითია და არც ნეიტრალური. დომინანტური კულტურის მიერ ნაწარმოები სიღარიბე, როგორც სოციალური პოზიცია, არა უბრალოდ გაჭირვებაა, არამედ - სოციალური კონტროლის მექანიზმი. სტიგმა და სირცხვილი კი ამ კონტროლის ეფექტიანი იარაღებია.

2.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები

ამ ყველაფერში ყველაზე ტრაგიკული ისაა, რომ ხანგრძლივ და სტრუქტურულ სიღარიბეში ყოფნას ადამიანის ფსიქიკა, საბოლოო ჯამში, ვერ უძლებს. ჩატარებული ინტერვიუების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების ნახევარზე მეტს აღენიშნებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა, მათ შორის, ქრონიკული შფოთვა, დეპრესია, ზოგ შემთხვევაში, ინტელექტის დაქვეითების ნიშნები და, ერთი შემთხვევის გათვალისწინებით, ძლიერი პარანოიდული განცდები. ეს ინდივიდუალური გამოცდილებები ამ კონკრეტულ მოცემულობაში „შემთხვევითობა“ სულაც არ არის. ისინი ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სიღარიბის სისტემურ შედეგებს ასახავენ.

ეს დაკვირვებები მტკიცედ თავსდება იმ თეორიულ ჩარჩოში, რომელსაც ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იცნობენ როგორც სიღარიბის ფსიქოლოგიას (psychology of poverty). ფსიქოლოგიის ეს მიმართულება ცდილობს ახსნას, თუ როგორ მოქმედებს სიღარიბე ადამიანის ემოციურ პროცესებზე, ცნობიერებაზე, გადაწყვეტილების მიღების უნარსა და ფსიქიკის ზოგად ფუნქციონირებაზე. უტყუარია, რომ სიღარიბე, როგორც ქრონიკული სტრესის წყარო, ქმნის ნიადაგს და მაღალ რისკს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარებისთვის. ასევე, სიღარიბე უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის აგენტობის განცდაზე, თვითრეფლექსიის უნარზე, მიზანსწრაფვასა და სხვადასხვაგვარი ცხოვრებისეული სტრატეგიების დასახვაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას. ამის დასტურია როგორც ემპირიული, ისე თეორიული მონაცემები.

„ვატყობ ჩემ თავს, რომ ძალიან აგრესიული გავხდი, ასე არ ვიყავი. ეხლა ბავშვებსაც ხანდახან ვერ ვუძლებ, ისე დავუყვირებ ხოლმე და ისე გამოვდივარ მწყობრიდან.. თავს ვერ ვაკონტროლებ. მერე მეცოდებიან ხოლმე, რომ შეშინდებიან. არადა რას აშავებენ, ბავშვები არიან თამაშობენ, ხმაურობენ.“

დალი, 44 წლის.

ამერიკის ფსიქოლოგიის ასოციაციის (APA) 2023 წლის ანგარიშში პირდაპირ არის ხაზგასმული კავშირი სიღარიბესა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს შორის: ქრონიკული სიღარიბე ზრდის დეპრესიის, შფოთვითი აშლილობების, პოსტტრავმული სტრესის, მანიაკალურ და ფსიქოზურ მდგომარეობათა განვითარების რისკს (APA, 2023). განსაკუთრებით მწვავედ ეს ყველაფერი მაშინ იჩენს თავს, როდესაც სიღარიბეს თან სდევს სოციალური სტიგმა და განცდა, რომ ადამიანი საკუთარ პრობლემებზე პასუხისმგებელია პირადად და არა როგორც სისტემის ნაწილი ან თავად სისტემა.

ამერიკელი ფსიქოლოგი მარტინ სელიგმანი სიღარიბის გამოცდილებას განმარტავს იმ თეორიული პრიზმიდან, რასაც „დასწავლილი უმწეობის თეორია“ (Learned Helplessness Theory) ჰქვია. როდესაც ადამიანი ხანგრძლივად რჩება ისეთ გარემოში, სადაც მის ძალისხმევასა თუ შრომას არ აქვს კონკრეტული შედეგი და ცვლილება შეუძლებელია, იგი ითვისებს უმწეობის მდგომარეობას, რაც შემდგომ დეპრესიაში გადადის (Seligman, 1975). სიღარიბე, ამ შემთხვევაში, ხდება არა უბრალოდ შემოსავლის დეფიციტი, არამედ კოგნიტური ჩიხი, სადაც ინდივიდი კონტროლის განცდასა და მომავლის განჭვრეტის უნარს კარგავს.

ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, ასევე, თავად კოგნიტური შესაძლებლობების რესურსი - სტატიაში სიღარიბის შესახებ - „On the Psychology of Poverty“, ავტორები აღნიშნავენ, რომ სიღარიბეში მყოფი ადამიანის კოგნიტური რესურსი მუდმივად გამოყენებულია გადარჩენის მოკლევადიან მიზნებზე. მისი საარსებო სივრცე მთლიანად გადავსებულია ყოველდღიურ ფინანსურ თუ სხვა სახის გამოწვევებზე კონცენტრაციით. ეს ართმევს ადამიანს შესაძლებლობას, დაგეგმოს, განავითაროს თვითრეფლექსია და იმოქმედოს სტრატეგიულად. შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაზე ფიქრი, რაც აუცილებელია ინდივიდუალური წინსვლისთვის, ბლოკირებულია (Haushofer, 2014).

„ჩემი ყველა დღე იწყება იმაზე ფიქრით, რა ვაჭამო ბავშვებს. საიდან მოვიტანო ფული, სად რა ვქნა, რომ ის, რაც ჩემ შვილებს სჭირდებათ, მივცე და გავუკეთო. ვგიჟდები ჩემ შვილებზე, ისე მიყვარს და გული მიკვდება, რომ ბევრი რამე აკლიათ.“

დალი, 44 წლის

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ჩატარებული კვლევები ასევე ადასტურებენ ამ კავშირებს. 2020 წლის მეტა-ანალიზში, რომელიც 26 ქვეყანაში ჩატარებულ 44 კვლევას მოიცავდა, დადგინდა, რომ დაბალი ეკონომიკური სტატუსი პირდაპირ კორელაციაშია მძიმე დეპრესიასა და შფოთვებთან (Lund, 2020).

„ხანდახან ლოგინიდან ადგომა არ მინდა.. ვფიქრობ, ვფიქრობ, სულ ვფიქრობ, რა ვქნა და რით გამოვასწორო ჩემი

მდგომარეობა, მაგრამ ვერაფერ ხსნას ვერ ვხედავ. სულ დაბინდულივით მაქვს თან ეს გონებაც. ძალიან რთულია ხოლმე მოტივაციის პოვნა.. თავის მოკვლაზეც ბევრჯერ მიფიქრია.“

გიორგი, 35 წლის

კვლევის რესპონდენტები არ წარმოადგენენ იზოლირებულ, გამონაკლის ან შემთხვევით მოვლენას. ისინი გამოხატავენ სიღარიბის ფსიქოლოგიურ ტრაექტორიას, რაც ადამიანების კოგნიტურ და ემოციურ ფუნქციონირებას არღვევს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიღარიბესთან ბრძოლა მხოლოდ ეკონომიკური რესურსების ზრდით ვერ შემოიფარგლება. აუცილებელია, რომ ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს ის მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა, რასაც სიღარიბე წარმოშობს და რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამყარებს სიღარიბეში ჩარჩენის მექანიზმებს, როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოებისთვის.

საბოლოო ჯამში, აუცილებელია სიღარიბის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის გადააზრება, რათა თვითონ საზოგადოება არ გახდეს სიღარიბის მექანიკური მაწარმოებელი და განმამტკიცებელი. ამიტომ, საჭიროა არა მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებები, არამედ სოციალური ცნობიერების ტრანსფორმაციაც - იმ ღირებულებითი სტრუქტურების დეკონსტრუქცია, რომელიც სიღარიბეს „საკუთარ ბრალად“ წარმოაჩენს და ამგვარად, მსხვერპლის სტიგმატიზაციის კვლავწარმოებას ახდენს.

ის, რასაც ბურდიე „სიმბოლურ ძალაუფლებას“ უწოდებს, ზუსტად გამოხატავს იმ პროცესს, სადაც დაქვემდებარებულ სუბიექტებს დომინანტური კლასის მიერ შექმნილ ღირებულებებს ახვევენ თავს ისე, რომ ისინი თავად ითავსებენ მათ, როგორც „ბუნებრივს“. ამ კონტექსტში ნათელი ხდება მისი თვალსაზრისი, რომ „ღარიბები ხშირად ღარიბების წინააღმდეგ მოქმედებენ, რადგან მათში ის ღირებულებათა სისტემა ჩაინერგა, რომელიც მათ დისკრედიტაციას ახდენს“ (Bourdieu., 1990). ღარიბი ადამიანები შინაგანად ითვისებენ მათივე მარგინალიზაციის იდეოლოგიას, რასაც ის კულტურული ძალადობა იწვევს, რომელსაც დომინანტური სისტემა აწარმოებს. სიღარიბის სტიგმა, რომელიც მყარად არის გამჯდარი ქართულ საზოგადოებრივ წარმოსახვაში, ნაწილობრივ, სწორედ ამ ტიპის კულტურულ შიდა კონტროლზეა აგებული. ეს სტიგმა ქმნის ადამიანში შიშს, სირცხვილს, თვითიზოლაციას და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ფარული თვითდესტრუქციული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, რომ სტერეოტიპები და დისკრიმინაციული წარმოდგენები, რომლებიც სიღარიბესთანაა დაკავშირებული, დაფუძნებულია იმ ღრმა კულტურულ კოდებზე, რაც კოლონიური, კაპიტალისტური და პატრიარქალური წესრიგების შედეგია. ქართული კულტურული მორალიც იმავე კონსტრუქციითაა ნაშენები, სადაც ნათლად ვხედავთ, რომ ღარიბი ადამიანი, ხშირად, სწორედ იმ ფასეულობითაა შებოჭილი, რომელიც მასვე განამტკიცებს არსებული იერარქიის ქვედა პოზიციაში და ართმევს წინააღმდეგობის უნარს. ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგი კი დამატებით აძლიერებს ამ კულტურულ სტრუქტურებს, რომელიც, თავის მხრივ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების რისკს აძლიერებს, რაც, ასევე, სტიგმატიზებულია ჩვენს საზოგადოებაში. ამგვარი დისკურსები არა მხოლოდ ანგრევს სოციალური სოლიდარობის განცდას, არამედ ხელს უშლის საერთო, აუცილებელ კულტურულ ცვლილებებს.

ამის საპირისპიროდ, საჭიროა ისეთი კოლექტიური ცნობიერების ფორმირება, რომელიც თანაგანცდას, სოლიდარობის პრაქტიკებსა და ურთიერთდახმარების სოციალურ ნორმებს დაემყარება. აუცილებელია, ჩაგვრის არსებული მექანიზმების კრიტიკული გააზრება და ისეთი ხელმისაწვდომი სოციალური სივრცეების შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება განსხვავებული გამოცდილებების გაცვლა და ერთმანეთში დიალოგი, სადაც, საბოლოო ჯამში, კულტურული პრაქტიკების ტრანსფორმაციის შანსი შეიძლება გაჩნდეს. ცნობიერების ცვლილების გარეშე, პოლიტიკის მდგრადი ცვლილებაც უკიდურესად რთული ხდება, რადგან სოციალური პოლიტიკა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ საზოგადოებრივ აღქმებსა და ღირებულებზეა დამოკიდებული. ამასთან, კულტურულად გამჯდარ ნორმებთან წინააღმდეგობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გრძელვადიანი და სირთულეებით დატვირთული პროცესია, აუცილებელი წინაპირობაა სოციალური სისტემის დემოკრატიზაციისთვის. ამ პროცესის უგულებელყოფა ზრდის რისკს, რომ საზოგადოებაში განმტკიცდეს სტიგმა, სოციალური დისტანცია და ერთმანეთში ნდობის დეფიციტი, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება, როგორც სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობაზე, ისე ინსტიტუციური გარემოს სტაბილურობაზე. შესაბამისად, სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის შესაქმნელად საჭიროა ერთდროულად გათვალისწინებული იყოს როგორც კულტურული ფაქტორები, ასევე ინსტიტუციური სტრუქტურების რეფორმების აუცილებლობა.

3. სიღარიბის ინსტრუმენტალიზება პოლიტიკაში

თანამედროვე მმართველობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პარადოქსია ის, რომ სახელმწიფო არა მხოლოდ ტოვებს ადამიანებს სიღარიბეში, არამედ მართავს მათ სწორედ მათი მოწყვლადობის მეშვეობით. როგორც მიშელ ფუკო აღნიშნავს, თანამედროვე ძალაუფლება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ კანონებითა და აკრძალვებით, არამედ იგი შემოჭრილია და ზემოქმედებს სიცოცხლის ყოველ დონეზე: სხეულზე, ცხოვრების პირობებზე, ჯანმრთელობაზე, ყოველდღიურობასა და გადაწყვეტილების მიღების უნარზე (Foucault M. , 1976). ასეთ ძალაუფლებას ფუკო „ბიოპოლიტიკას“ უწოდებს - მმართველობის ფორმას, რომლის მთავარი ობიექტი ადამიანთა სიცოცხლე და მისი რეგულირებაა. აქედან გამომდინარე, სიღარიბის ანალიზი შეუძლებელია სახელმწიფოს როლის, მისი რეალური ინტერესებისა და მოქმედების მექანიზმების განხილვის გარეშე.

აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ იმ მმართველობით პრაქტიკებზე, რომლებიც ფორმალურად დახმარებაზეა ორიენტირებული, თუმცა რეალურად შეიძლება უკავშირდებოდეს კონტროლის უფრო დახვეწილ და შეუმჩნეველ მექანიზმებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რა ტიპის მმართველობასთან გვაქვს საქმე თანამედროვე საქართველოში: უწყობს თუ არა იგი ხელს სიღარიბის საფუძვლიანი დაძლევის პროცესს, თუ პირიქით, საკუთარი ძალაუფლების გამყარებაზეა ორიენტირებული. ერთი შეხედვით, ამ კითხვაზე პასუხი მარტივი შეიძლება ჩანდეს, თუმცა ქართული კონტექსტის, ისტორიული გამოცდილებისა და სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის გადააზრება გვავალდებულებს, უფრო ღრმად და კრიტიკულად დავფიქრდეთ - რისი შენარჩუნება სურს მმართველ ძალას და რას თვლის იგი საყრდენ ღირებულებად - მოქალაქის სოციალურ კეთილდღეობას, თუ მის მორჩილებას მოწყვლადობის პირობებში.

საქართველოში ღარიბი ადამიანების გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალური დახმარების სისტემა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას არ გულისხმობს. ამ სისტემის დახმარებით სახელმწიფო ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას აკონტროლებს, აფიქსირებს მათ სხეულებსა თუ ქცევებს და აყალიბებს მორჩილ მოქალაქეს. სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების ფონზე მკაფიოდ ჩანს შიში და სიფრთხილე, როგორც ძალაუფლების პრაქტიკის მნიშვნელოვანი მექანიზმები. სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობა გადადის მორჩილებაზე დაფუძნებულ ფორმაში, სადაც დახმარების მიღება ლოიალობისა და სიჩუმის სანაცვლოდ ხდება.

ინტერვიუების დროს რესპონდენტები ხშირად გამოხატავდნენ შიშს. ეს შიში არ იყო მხოლოდ დახმარების შეწყვეტის შიში, არამედ თვითონ საუბრის პროცესიც ერთგვარ დისკომფორტს ქმნიდა მათთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, თუკი რაიმე ტიპის კრიტიკული აზრის გაჟღერება უწევდათ - ისინი ჩუმად, ფრთხილად საუბრობდნენ და შიგადაშიგ სვამდნენ კითხვას: *„ეს სადმე ხომ არ გამოქვეყნდება“* ან *„იმედია, რამე პრობლემა არ შემექმნება“* და მსგავსი. ამ შემთხვევაში, ეს შიში წარმოქმნილი იყო არა ძალადობრივი მუქარის საფუძველზე, არამედ სისტემური დისციპლინისა და თვითცენზურაზე დაფუძნებული ძალაუფლებით, რომელიც ზუსტად ფუკოსეული ბიოპოლიტიკური მექანიზმების ნაწილია - ისეთი ძალაუფლების, რომელიც ინდივიდის სხეულს, ქცევებსა და ყოველდღიურობას მართავს (Foucault M. , 1977). აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების მოძიება და მათი ინტერვიუზე დათანხმება საკმაოდ რთული პროცესი იყო სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ სიტყვა „ინტერვიუს“ გაგონებისას ისინი კარგავდნენ ნდობას პროცესის მიმართ, რადგან მათთვის ეს ერთგვარ რისკ-ფაქტორს წარმოადგენდა მათი სოციალური დახმარებისთვის).

> *„ეს რასაც ახლა ვლაპარაკობ, ხო ნამდვილად არსად გამოქვეყნდება? რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავსო, როგორც იტყვიან, რამე პრობლემის თავი ნამდვილად არ მაქვს. არ მინდა უმადური ვჩანდე, ხომ ხვდები? კი ცოტაა, რასაც მაძლევენ, მაგრამ ჩემი ოჯახისთვის ესეც ბევრს ნიშნავს.“*
>
> *ნანა, 45 წლის*

სოციალური შემწეობის სისტემა ტექნიკურად ქულებზეა დაფუძნებული, რაც, ერთი შეხედვით, მიუკერძოებელი ფორმაა. მაგრამ სინამდვილეში, ეს მექანიზმი მოქმედებს როგორც ადამიანების კატეგორიზაციისა და კლასიფიკაციის საშუალება, რომელიც იდეოლოგიურად ნეიტრალურად მოჩანს, თუმცა ბიუროკრატიული ძალაუფლების ნაწილია. ბურდიეს სიტყვებით, ეს სისტემა მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელიც შენიღბულია ადმინისტრაციული აუცილებლობით, მაგრამ რეალურად, ადგენს მოქალაქის მიმართ კონტროლის ახალ წესებს (Bourdieu P. , 1998). ადამიანი იძულებულია, დაუმტკიცოს სახელმწიფოს, რომ ის ნამდვილად „ღირსია“ იმ მიზერული დახმარების, რასაც სახელმწიფო გასცემს. ამისთვის კი მან ბოლომდე უნდა გააშიშვლოს საკუთარი ყოფა, ავადმყოფობა თუ უმწეობა. ეს პროცესი არის უკიდურესად დამამცირებელი, ღირსების შემლახავი და აყალიბებს სირცხვილისა და ერთგვარი თავის დამარცხების კულტურას. აქვე, მოკლედ ვახსენოთ თვითონ სოციალური შემწეობის მიღების პირობები და ოდენობა: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების იდენტიფიცირება ხდება სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას მოწმდება ოჯახის წევრების დასაქმების

სტატუსი და შემოსავლები, უძრავ ქონებაზე საკუთრება, კომუნალური გადასახადების ოდენობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა ფაქტორები. რა თქმა უნდა, სრულიად ზედაპირულად, ყოველგვარი კონტექსტისა და ინდივიდუალური ისტორიის გაუთვალისწინებლად. საბოლოოდ, თითოეული პირის სარეიტინგო ქულა განაპირობებს მისი ოჯახისთვის განსაზღვრული ფულადი დახმარების ოდენობას, რომელიც, 30-დან 60 ლარამდე მერყეობს ერთ წევრზე თვეში. 2023 წლის ივლისიდან, 16 წლამდე ბავშვებისთვის განსაზღვრული დახმარება 150-დან 200 ლარამდე გაიზარდა (პუბლიკა, 2023).

ამ სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარადოქსული პრობლემა ისაა, რომ ყველაზე გაჭირვებული ადამიანები - ქუჩაში მცხოვრები, რეგისტრაციის გარეშე მყოფი პირები - ამ სისტემაში საერთოდ ვერ ხვდებიან. მათთვის სოციალური დახმარება მიუწვდომელია. ისინი არც ბიუროკრატიულ ბაზებში ფიქსირდებიან და არც მათი არსებობა იცის ვინმემ (პუბლიკა, 2023). როგორც სპივაკი აღნიშნავს, „სუბალტერნს სიტყვა არ ეძლევა“ - ანუ მათ არ შეუძლიათ, გამოხატონ საკუთარი გამოცდილება თუ სურვილები იმ ენაზე, რომელსაც სისტემა ცნობს (Spivak, 1988). სახელმწიფოსთვის ისინი, ფაქტობრივად, არ არსებობენ - არც დახმარების მიმღებად აღირიცხებიან და არც პოლიტიკურ სუბიექტებად.

დახმარება საქართველოში ხშირად მოქმედებს, როგორც მორჩილების ინსტრუმენტი. ზოგი რესპონდენტი ღიადაც ამბობდა, რომ ეშინია სახელმწიფოს კრიტიკის, რადგან შესაძლოა, ამის გამო დახმარება დაკარგოს. ამგვარად, სოციალური მხარდაჭერა არ ქმნის თავისუფლებას, არამედ ამყარებს დამოკიდებულებას. დახმარების სანაცვლოდ, ადამიანები იძულებულები არიან, ჩუმად იყვნენ და კმაყოფილებიც იმით, რაც ეძლევათ. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანები ხშირად ვერ იღებენ ლეგალურ სამსახურს სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ გარანტირებული შემოსავლის, სოციალური შემწეობის, დაკარგვის ეშინიათ. შედეგად, ისინი იძულებულები არიან, დარჩნენ უმუშევრად, სახელმწიფოს მიზერული დახმარების ამარა ან არაფორმალურ ერთჯერად სამსახურებს დასჯერდნენ.

> *„მახსოვს, მამამ დაიწყო ერთხელ მუშაობა მწყემსად და მაგ წელს დახმარება მოგვიხსნეს. რომ მოდიან ხოლმე, სულ დაწვრილებით გვეკითხებიან, რამდენი ქათამი გვყავს, რამდენი კაკლის ხე გვიდგას და ესე ყველაფერზე. თუ რამეს აკეთებ ოდნავ მაინც, დახმარება გეხსნება და მერე ფიქრობ, გააკეთო თუ არა საერთოდ.“*
>
> *ნინი, 19 წლის.*

სახელმწიფო დახმარების ამგვარი პირობა, რა თქმა უნდა, ხელს უშლის განვითარების შესაძლებლობას. შესაძლებლობას, რომ ადამიანებმა შეძლონ სიღარიბიდან ამოსვლა და დამოუკიდებლად არსებობა.

როდესაც ვსაუბრობთ საქართველოზე, აუცილებელია განვმარტოთ მისი მმართველობის ფორმა და პოლიტიკური ეკონომიკის ტიპი, რომელიც, რეალურად, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ (2003) შემდეგ, საქართველომ მკვეთრად აიღო ნეოლიბერალური განვითარების კურსი, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს მხრიდან, მეტ-ნაკლებად, უარის თქმას სოციალურ პოლიტიკაზე, კერძო სექტორისთვის პრიორიტეტის მინიჭებასა და საბაზრო მექანიზმების უნივერსალიზაციას. როგორც დევიდ

ჰარვი აღნიშნავს, ნეოლიბერალიზმი ნიშნავს პოლიტიკურ პროექტს, რომლის მიზანიცაა *„სიმდიდრისა და ძალაუფლების გადანაწილება მმართველი კლასის სასარგებლოდ“* (Harvey D. , 2005). საქართველოში ეს პროექტი სოციალური სამართლიანობის შემცირებაში, სახელმწიფოსგან მოქალაქის მეტ იზოლაციასა და ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებაში გამოიხატა.

ნეოლიბერალური სტრუქტურები, ფორმალურად დემოკრატიული მექანიზმების ფონზე, ხშირად მჭიდროდ უკავშირდება ოლიგარქიულ მმართველობას. ეს სისტემა გულისხმობს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიტაცებულია ბიზნესმენთა/მეწარმეთა მცირე წრის მიერ, რომლებიც აკონტროლებენ არა მხოლოდ ეკონომიკურ რესურსებს, არამედ მედიას, სასამართლოსა და პოლიტიკურ პარტიებს. საქართველოში მსგავსი ტიპის მმართველობის კონსოლიდაცია ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმალური არსებობის მიუხედავად, რეალური ძალაუფლება კონცენტრირებულია რამდენიმე გავლენიან ფიგურას, ან სულაც ერთ ადამიანსა და მასთან აფილირებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჯგუფებში. როგორც ვენდი ბრაუნი მიუთითებს, *„ნეოლიბერალიზმი დემოკრატიას ფორმალურ წრეში ამყოფებს, რომელსაც შინაარსი აღარ აქვს“* (Brown, 2015), რაც ზუსტად შეესაბამება საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ რეალობას.

2024 წლის ოქტომბრის არჩევნები იყო ამ პროცესის ერთგვარი კულმინაცია - არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიის ანგარიშით დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სოციალურად დაუცველ პირებს ემუქრებოდნენ და აშანტაჟებდნენ დახმარების შეწყვეტით იმ შემთხვევაში, თუ არ მისცემდნენ ხმას მმართველ პარტიას (ცენტრი, 2024); (აიფაქტი, 2024). ეს პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ იყენებს სახელმწიფო სოციალური დაცვის მექანიზმებს, როგორც პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტს, რაც ხაზს უსვამს მის ავტორიტარულ ბუნებას.

> *„ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩემთან არავინ მოსულა და დაუძალებია, არჩევნებში ხმა მომეციო, მაგრამ ვიცი, რომ ბევრს ჩამოართვეს დახმარება, ან არ მისცეს იმის გამო, რომ მათი მოსაწონი აზრები არ ჰქონდა და მხარს არ უჭერდა ამ მთავრობას.“*
>
> *ნატო, 69 წლის.*

ავტორიტარიზმი თანამედროვე პოლიტიკურ კონტექსტში სულ უფრო ხშირად იღებს ჰიბრიდული რეჟიმის სახეს - სისტემა, რომელიც დემოკრატიის გარეგნულ ნიშნებს, როგორიცაა არჩევნები და პოლიტიკური პლურალიზმი, ფორმალურად ინარჩუნებს, მაგრამ რეალურად ახშობს ოპოზიციურ ხმებს, ზღუდავს მედიის თავისუფლებას, ამკაცრებს კონტროლს და სადამსჯელო მექანიზმებს კრიტიკული ადამიანების მიმართ და ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოებასა თუ არასამთავრობო სექტორს ფუნქციონირებასა და არსებობაში. ლევიცკისა და ზიბლატის მიხედვით, თანამედროვე ავტორიტარიზმი აღარ მოქმედებს ტანკებითა და ცენზორებით (თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, მთავრობამ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენა არაპროპორციული ფიზიკური ძალა და აქტიურად ეწევა ცენზურასაც); ის მოქმედებს კანონით, არჩევნების მანიპულირებითა და ფორმალური დემოკრატიის ინსტრუმენტების გადაფასებით (Levitsky, 2018). საქართველოს შემთხვევაში, მოცემულ მომენტში, სიტუაცია ბევრად რთულად და ტრაგიკულადაა, თუმცა, ეს პროცესებიც

ნათლად იკვეთება - კრიტიკული ხმების დევნა, სოციალური პროგრამებით მანიპულაცია და ინსტიტუციური პლურალიზმის დისკრედიტაცია.

„მე მაგათმა რა უნდა შემაშინონ, მოვრჩი ცხოვრებას და ასე ვარ ჩემი დღე და მოსწრება, მაგრამ ბრმა ხო არ ვარ, ხო ვხედავ კაცო, ხო მესმის, რომ აქეთ ვიღაცას ჩამოართვეს დახმარება, იმიტომ რომ „ნაცია“, იქით ვიღაც შეაშინეს, აქეთ ვიღაცას შვილის სამსახურიდან გაგდებით დაემუქრნენ და ესე.. ნორმალურია ახლა ეს?!“

ვაჟა, 72 წლის

ამ ეტაპზე, საქართველო რეალურად აღარ წარმოადგენს დემოკრატიისკენ მიმავალ სახელმწიფოს. მაშინ, როდესაც წარსულში, ჯერ კიდევ არსებობდა სივრცე სამოქალაქო დიალოგისა და სიღარიბის, ჩაგვრისა და სოციალური უსამართლობების დაძლევის იმედისთვის, დღეს მმართველობა სულ უფრო აშკარად იღებს ავტორიტარული რეჟიმის ფორმას. ასეთ პირობებში, თანასწორობაზე, სამართალზე ან სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ტიპის ზრუნვის პოლიტიკაზე საუბარი, უბრალოდ ზედმეტია - ფუჭი, ცარიელი დეკლარაცია. რეალურად, მოქალაქეთა უმრავლესობა გამორიცხულია როგორც პოლიტიკური პროცესიდან, ისე მატერიალური მხარდაჭერის მექანიზმებიდან, რაც კიდევ უფრო ამყარებს ძალაუფლების ვერტიკალს და არღვევს დემოკრატიულ პრინციპებს.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო აშენებს სისტემას, რომელიც ერთდროულად არის ნეოლიბერალური და ავტორიტარულ-ოლიგარქიული. დახმარება აქ არ ნიშნავს მხარდაჭერას ან სოლიდარობას. ის არ არის სოციალური სამართლიანობისკენ მიმართული აქტი. იგი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლითაც სახელმწიფო/რეჟიმი ინარჩუნებს კონტროლს. დახმარების მიმღები მოქალაქე ხდება პოლიტიკურად პასიური, მადლიერი და მორჩილი. ის არ აპროტესტებს, არ ითხოვს მეტს, რადგან შიშობს, რომ ისიც წაერთმევა, რაც აქვს და ყოველგვარი რესურსის გარეშე დარჩება. ამგვარად, სახელმწიფო დაცვისა და ზრუნვის გარანტი კი არაა, არამედ მოქმედებს კონტროლის მექანიზმებით, რომელიც ხალხს შიშით მართავს და ყოველგვარი თანასწორობის პრინციპი იდეაშივე უგულებელყოფილი აქვს. დახმარება არის სისტემის იარაღი - ის არ ათავისუფლებს ადამიანებს სიღარიბისგან, არამედ ინარჩუნებს მათ ამ მდგომარეობაში, რომ ადვილად მართოს.

4. კაპიტალიზმი, გლობალური ჩარჩო და საქართველო

საქართველოში, სიღარიბის მიზეზებზე საუბრისას, დომინირებს აზრები, რომლებიც პრობლემას, უმეტესწილად, ლოკალურ და შიდა ფაქტორებს უკავშირებენ - პოლიტიკური ელიტების კორუფცია, ეკონომიკური განვითარების სუსტი ტემპი, სოციალური უთანასწორობა და სახელმწიფოს არაეფექტიანი სოციალური პოლიტიკა. ეს ფაქტორები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სიღარიბის კვლავწარმოებაზე, თუმცა მისი ანალიზისას უფრო ფართო კონტექსტი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომელშიც ეს მოვლენები, რეალურად, ფორმირდება. საქართველოს სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა ვერ განისაზღვრება მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესებით, რადგან ის ჩასმულია გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის სტრუქტურაში, რომელიც არათანაბარი განვითარებისა და ეკონომიკური დამოკიდებულების სისტემაზეა დაფუძნებული. ამ სისტემაში

საქართველოს ადგილი განსაზღვრულია, როგორც პერიფერიული - ანუ როგორც ქვეყანა, რომელიც უმეტესწილად იძლევა იაფ მუშა ხელს, უცხოელ ინვესტორებს უქმნის მიმზიდველ პირობებს, სადაც ადვილია ექსტრაქტივიზმი - ბუნებრივი რესურსების მასიური მოპოვება და მონეტიზაცია, თუნდაც გარემოსა და ადამიანების ექსპლუატაციის ხარჯზე.

თანამედროვე მსოფლიოში, დომინანტურ ეკონომიკურ ლოგიკადაა ჩამოყალიბებული ნეოლიბერალიზმი, რომელიც, როგორც დევიდ ჰარვი აღნიშნავს, „კლასობრივი ძალაუფლების აღდგენის პროექტს“ წარმოადგენს, სადაც ბაზრის ლოგიკა პრიორიტეტს ანიჭებს კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას სოციალური პასუხისმგებლობისა და თანასწორობის პრინციპების უგულებელყოფის ხარჯზე (Harvey D. , 2005). ამ პოლიტიკის პირობებში, სოციალური დაცვის სისტემები ნგრევის გზაზეა - სახელმწიფო, ფაქტობრივად, უარს ამბობს სოციალურ პასუხისმგებლობაზე და ღარიბ ადამიანს ან ფუნქციურად გამოუსადეგარ არსებად აქცევს, ან იაფ გამოყენებად რესურსად. გლობალურ კაპიტალისტურ ეკონომიკაში ღარიბი ადამიანები, ხშირად, პოლიტიკური სუბიექტურობისგან გამორიცხულები არიან. მათ არ გააჩნიათ წვდომა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებზე და ამავდროულად, გამუდმებით ექვემდებარებიან კონტროლისა და შეფასების მექანიზმებს, რაზეც მაღლა, პრინციპში, უკვე ვისაუბრეთ.

როგორც გი დებორი წერდა სპექტაკლის საზოგადოებაზე, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს ანაცვლებს როლები და ფუნქციები, ხოლო პიროვნება თვითონაც ერთგვარ, სიმბოლურ პროდუქციად იქცევა (Debord, 1967). ასეთ საზოგადოებაში სიღარიბე აღარ განიხილება როგორც გადასაჭრელი პრობლემა, არამედ როგორც „ბუნებრივი“ მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას - რეზერვუარს იაფი შრომისთვის, პოლიტიკური მანიპულაციისა და სოციალური კონტროლის განმტკიცებისთვის. ამგვარად, სიღარიბე საქართველოში უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ეროვნული დონის მოვლენა, არამედ როგორც სტრუქტურული ძალაუფლების ბმული, რომელიც გლობალურ ეკონომიკურ ლოგიკას ემორჩილება.

პოსტსაბჭოთა სივრციდან დასავლურ კაპიტალისტურ ეკონომიკაში ინტეგრაცია ბევრ შემთხვევაში არ ნიშნავდა თანასწორ შესაძლებლობებს განვითარებისთვის, არამედ პირიქით - გულისხმობდა ისეთ წესრიგთან ადაპტაციას, სადაც ქვეყნის მთავარი ფუნქცია შიდა სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ნაცვლად, გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე მორგება იქნებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო, სხვა პოსტ-სოციალისტური ქვეყნების მსგავსად, ერთ-ერთი პირველი ადგილი გახდა, სადაც ნეოლიბერალური ეკონომიკური რეფორმები აქტიურად განხორციელდა. ამ რეფორმების გატარება საერთაშორისო ორგანიზაციების - საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (WB) - მხარდაჭერით და მათი რეკომენდაციების შესაბამისად მიმდინარეობდა. ეს ორგანიზაციები სახელმწიფოს ფინანსურ დახმარებას სთავაზობდნენ გარკვეული პირობების სანაცვლოდ. კერძოდ, ისინი მიზნად ისახავდნენ სახელმწიფოს ფუნქციის შემცირებას და ეკონომიკის სრულ ლიბერალიზაციას. ცვლილებები მოიცავდა ფართომასშტაბიან პრივატიზაციას, რაც კერძო სექტორისთვის საწარმოებისა და ქონების გადაცემას გულისხმობდა, ასევე, საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას - განსაკუთრებით სოციალური დაცვის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში, შრომის ბაზრის დერეგულაციასა და პროფკავშირების სისტემურ დასუსტებას, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა დასაქმებულთა უსაფრთხოება და

კოლექტიური უფლებების დაცვა, და, რა თქმა უნდა, ბიზნესისთვის გარემოს მაქსიმალურად გამარტივებას (IMF, 2000) (Bank, 2002)

საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროგრამებში, რა თქმა უნდა, არ არის და ვერც იქნებოდა მხოლოდ ფინანსური დახმარების მიღების აქტი. ეს არის ღრმა სტრუქტურული ინტეგრაცია გლობალურ ნეოლიბერალურ კაპიტალისტურ წესრიგში. ასეთი ინტეგრაცია არა მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას ნიშნავს, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ლოგიკის რადიკალურ გარდაქმნასაც. იმ პირობებში, როდესაც საქართველო ეკონომიკურად და ინსტიტუციურად სუსტი სახელმწიფო იყო და სუსტია ახლაც, საერთაშორისო ინსტიტუტების გავლენა განსაკუთრებულად ძლიერი იყო და არის ახლაც. როგორც ნენსი ფრეიზერი აღნიშნავს, *„ნეოლიბერალური სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა კაპიტალის სტაბილურობას ემსახურება, ხოლო მისი პრეტენზია სამართლიანობაზე, ხშირად ილუზორულია“* (Fraser N. , 2013).

ამ რეფორმებმა სოციალური დახმარების სისტემები მიზნობრივ ინსტრუმენტებად გადააქციეს, რომლებიც მიმართულია მხოლოდ სიღარიბის კონკრეტულ ფორმებზე და არ ეფუძნება უნივერსალურ პრინციპებს. ამის შედეგად, სოლიდარობის სოციალურ-პოლიტიკური იდეა, ეკონომიკური ეფექტისა და მიზნობრიობის ენით ჩანაცვლდა. ამ პროცესში სახელმწიფოს როლი თანდათანობით ჩამოყალიბდა და იქცა არა სოლიდარული კოლექტიური სიკეთის გამტარებელ ინსტიტუტად, არამედ მარეგულირებელ ზედამხედველად ბაზარზე, რომელიც მუდმივად იმ ფორმებს უჭერს მხარს, რაც ინვესტორის ინტერესებს, ინვესტიციების მოზიდვასა და კონკურენტუნარიანობას უწყობს ხელს. როგორც დევიდ ჰარვი ამბობს, ნეოლიბერალიზმის მთავარი მიზანია *„საბაზრო ლოგიკის გაფართოება ყველა სფეროზე, სადაც ადამიანური ურთიერთობები ყალიბდება“* (Harvey D. , 2005).

შედეგად, გაღრმავდა სოციალური და კლასობრივი უთანასწორობა, რაც პოლიტიკურ დონეზე გამოიხატა მოქალაქეთა მზარდ უმწეობასა და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის შემცირებაში. ღარიბი ადამიანების მოტივაცია შემცირდა, როგორც პოლიტიკაში ჩაბმის, ისე სოციალურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით, რადგან მათთვის პოლიტიკა აღარ წარმოადგენს ინსტრუმენტს საკუთარი ინტერესების დასაცავად, არამედ პირიქით, ის მათთვის ძალაუფლების რეპროდუქციის იარაღია. აქედან გამომდინარე, მარტივად გასაგები ხდება ღარიბი ადამიანის სასოწარკვეთა, უნდობლობა და უიმედობა სახელმწიფოს მიმართ, რაც ერთ ძალიან მარტივ ფრაზაში არის ხოლმე ხშირად გამოხატული: *„ყველა მთავრობა ერთნაირია. ჩვენთვის არავინ არ არის!“*

საქართველო, როგორც გლობალური კაპიტალისტური წესრიგის პერიფერიული ქვეყანა, არ წარმოადგენს მხოლოდ იაფი შრომის ბაზარს ან უცხოური კაპიტალის ნაკადის მიმღებს. ის თანდათან იქცა კულტურული და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის სივრცედ, სადაც ქვეყნის სუვერენული ინტერესები, ხშირ შემთხვევაში, გლობალური კორპორაციებისა და შიდა ოლიგარქიული ინტერესების სასარგებლოდ ითმობა. ეს მექანიზმები ეკოსოციალურ თვალსაზრისშიც აშკარად იჩენს თავს: ბუნებრივი სიმდიდრეების - წყლის, მიწის, ენერგორესურსების მიტაცება ისეთი სამეწარმეო ფორმატით ხდება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გამორიცხავს და კიდევ უფრო ამძაფრებს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ უსამართლობას. ამ პროცესების თვალსაჩინო მაგალითები არაერთი გვქონდა ახლო წარსულში და ახლაც გვაქვს.

კაპიტალიზმს ახასიათებს მუდმივი სწრაფვა „ახალი სივრცეების გამონახვისკენ“, სადაც დოვლათის შექმნა მინიმალური ძალისხმევით არის შესაძლებელი - იქნება ეს ბუნებრივი რესურსების მითვისება, კულტურული ფასეულობების მოდიფიკაცია თუ იაფი შრომის გამოყენება (Harvey, 2003). ამ კონტექსტში, საქართველო სწორედ ასეთი სივრცეა - ტურიზმის ინდუსტრიის ექსპანსია, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, სამთო-მოპოვებითი საქმიანობა თუ ურბანული „განახლების“ პოლიტიკები, ხშირად მოიაზრება როგორც განვითარების პროცესები, თუმცა სინამდვილეში, ისინი მფლობელობისა და სარგებლობის ადგილობრივი კონტროლის დაკარგვის მაგალითებია. ასეთი პირობები ქმნის იმგვარ რეალობას, როდესაც პერიფერიული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, ეკონომიკური და კულტურული სივრცეები მიტაცებულია როგორც შიდა, ისე გარე ძალაუფლების მიერ. ქვეყანა აღიქმება არა როგორც სუვერენული პოლიტიკური ერთეული, არამედ როგორც მოხმარებისა და ინვესტიციის ადგილი, სადაც ბუნება, შრომა და კულტურა პოლიტიკური და ბიზნეს ელიტების ეკონომიკურ აქტივად არის გადაქცეული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მოწყობა მნიშვნელოვნად განისაზღვრა გლობალური კაპიტალისტური წესრიგით, საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჩვენს შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა მხოლოდ დასავლურ ეკონომიკურ ჰეგემონიასთან, არამედ, და ხშირად მეტადაც, რუსული იმპერიალიზმის სტრუქტურულ გავლენებთან. რუსეთის სახელმწიფო და კაპიტალი, როგორც იმპერიალისტური ძალა, არა მხოლოდ გეოპოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც ახდენს ზემოქმედებას საქართველოს განვითარების გზებზე. რუსული ბიზნეს-კლასი, რომელიც მჭიდრო კავშირშია კრემლის მმართველ პოლიტიკურ ელიტებთან, ხშირად ისეთი ინტერესების გამტარ როლს ასრულებს, რომელიც პერიფერიული რეგიონების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების შენარჩუნებისკენაა მიმართული. როგორც დევიდ ჰარვი აღნიშნავს, „იმპერიალიზმი სულ უფრო მეტად იღებს ეკონომიკურ ფორმას, ვიდრე სამხედროს, სადაც კაპიტალის გადანაწილების გზით ხდება პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნება“ (Harvey D. , 2005). ეს დებულება სრულად შეესაბამება რუსეთის მიერ რეგიონში წარმოებულ სტრატეგიას, სადაც ენერგორესურსების, საინვესტიციო პროექტებისა და დეზინფორმაციის ქსელების გამოყენებით, ის ცდილობს გავლენის შენარჩუნებას პოსტსაბჭოთა სივრცეში.

რუსული გავლენა საქართველოში ხშირად გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივი ოლიგარქიული ელიტების ნაწილი დაკავშირებულია რუსულ ბიზნესსა და კაპიტალთან, რაც ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული პროცესებისთვის დამატებით საფრთხეს ქმნის. ამ კონტექსტში, რუსეთი არ არის მხოლოდ გეოპოლიტიკური ფონი, არამედ აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური მოთამაშე, რომლის გავლენაც იკვეთება როგორც ენერგოსექტორში, ისე საბანკო სისტემასა და მედიაგარემოში. ამიტომ, საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრისას, აუცილებელია კაპიტალისტური ექსპლუატაციის ანალიზს დავუმატოთ პოსტიმპერიული ურთიერთობის კრიტიკული გააზრება, სადაც რუსეთი არანაკლებ როლს ასრულებს, ვიდრე დასავლური ფინანსური ინსტიტუტები.

ამრიგად, საქართველოში სიღარიბის მდგომარეობის გააზრება შეუძლებელია მხოლოდ შიდა პოლიტიკის, კორუმპირებული მმართველი ელიტების ან არაეფექტური მმართველობის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტორებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ, ისინი მხოლოდ უფრო ღრმა და სტრუქტურულ გლობალურ პროცესში ჩასმული სისტემის სიმპტომებია.

საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მოწყობა, შრომის ბაზრის სტრუქტურით დაწყებული და სოციალური პოლიტიკის აგებულებით დამთავრებული, არის იმ გლობალური კაპიტალისტურ-იმპერიალისტური წესრიგის ნაწილი, რომელიც აწესებს დამოკიდებულ პოზიციებს ე.წ. ცენტრსა და პერიფერიას შორის (Wallerstein, 2004).

გლობალური სამხრეთის ქვეყნებისთვის, ეკონომიკური და პოლიტიკური მარგინალიზაცია არა შემთხვევითი, არამედ ფუნქციური კომპონენტია იმ კოლონიური სისტემისა, რომელიც გადანაწილების ნაცვლად, მუდმივად მოიხვეჭს სხვების გამორიცხვის ხარჯზე. იმ პირობებში, როდესაც საქართველო ბოლო ათწლეულებია გადადის ნეოლიბერალური რეფორმების რელსებზე, ქვეყანაში სულ უფრო ღრმავდება სოციალური უთანასწორობა, იზრდება ეკონომიკური მოწყვლადობა და ვიწროვდება პოლიტიკური არჩევანის სივრცე. ამ პროცესებს კი თან ახლავს ოლიგარქიული და ავტორიტარული მმართველობის ფორმების გაძლიერება, რაც ქმნის გარემოს, სადაც მოქალაქეთა კეთილდღეობის ხარჯზე ძალაუფლების შენარჩუნება პრიორიტეტი ხდება. როგორც ტომას პიკეტი წერს, *„უთანასწორობა მხოლოდ ეკონომიკური შეცდომების გამო არ იზრდება, არამედ ეს არის პოლიტიკურად მართული პროცესი, რომელიც ემსახურება მდიდართა ინტერესებს და იკვებება სუსტი ინსტიტუციებით“* (Piketty T. , 2020). ამ კონტექსტში, საქართველო ნამდვილად არ არის გამონაკლისი, არამედ ჩართულია იმ საერთო გლობალურ დინებაში, სადაც ეკონომიკური ზრდის ნომინალური მაჩვენებლები ხშირად ნიღბავენ ღარიბების ჩაგვრას და რესურსების გადანაწილების სისტემურ უსამართლობას.

დღეს საქართველოში არსებულ რეალობას რუსული პოლიტიკის გავლენით გაძლიერებული ავტორიტარული და ოლიგარქიული მმართველობა განსაზღვრავს. ქვეყნის ამჟამინდელი პოლიტიკური სისტემა შეიძლება აღვწეროთ, როგორც ნეოლიბერალურ-ავტორიტარული წესრიგი, რომელიც გლობალური კაპიტალის ლოგიკისა და რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებით განპირობებულ მრავალმხრივ ჩარევას ერთდროულად გამოხატავს. როგორც ეს სხვა თანამედროვე ავტორიტარულ რეჟიმებსაც ახასიათებთ, მისი ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ერთგვარ ნაციონალისტურ და კონსერვატიულ სენტიმენტებს ემყარება. ამან დაასუსტა და, ფაქტობრივად, გააქრო ქვეყანაში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტები, გადაწყვეტილებების მიღება კიდევ უფრო ცენტრალიზებული გახადა და მოქალაქეთა პოლიტიკური სუბიექტურობა საგრძნობლად დააქვეითა. ასეთ პირობებში კი ლოგიკურია, რომ რეჟიმი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისა და ეკონომიკური დამოკიდებულებების განმტკიცებისკენაა მიმართული და არა რაიმე სახის სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფისკენ.

საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ კონიუნქტურაში დასავლური ინვესტიციების შესაძლო შემცირება და მათი აღმოსავლური კაპიტალით ჩანაცვლება (რუსული, ჩინური, ახლოაღმოსავლური), არსებითად არ ცვლის საქართველოს სტატუსს - ქვეყანა კვლავ ადვილად მოსახელთებელ პერიფერიად აღიქმება. განსხვავება ისაა, რომ პროცესებზე კონტროლი და მოგება ახლა უფრო ვიწრო წრეში კონცენტრირდება, ძირითადად, ადგილობრივ ოლიგარქსა და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-ბიზნეს ელიტებში, რაც კიდევ უფრო ამყარებს ექსტრაქტივისტულ პოლიტიკას და საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ სწრაფვას კერძო სარგებლის მაქსიმიზაციით ანაცვლებს.

რამდენიმე განვითარებული ქვეყნისგან განსხვავებით, სადაც სოციალურ და კაპიტალისტურ პოლიტიკებს შორის მეტ-ნაკლებად მდგრადი ბალანსი მიღწეულია, გლობალური სამხრეთი, მათ

შორის საქართველოც, ხშირად იმყოფება სტრუქტურულად არათანაბარ პირობებში, რაც დემოკრატიის, სოლიდარობისა და თანასწორობის შესაძლებლობებს ზღუდავს. როგორც სპივაკი აღნიშნავს, *„გლობალური სამხრეთი წარმოადგენს არა მხოლოდ გეოგრაფიულ, არამედ ეკონომიკურ და სიმბოლურ პერიფერიას, საიდანაც ხმა არ ისმის, ხოლო გამოცდილება ცენტრალური ნარატივების გასამყარებლადაა გამოყენებული“* (Spivak, 1988). ეს არაა მხოლოდ მეტაფორა, არამედ ესაა ყოველდღიური რეალობა იმ ადამიანებისთვის, რომელთა შრომა და სხეული კაპიტალისტური მოგების იარაღი ხდება, რომელთა ცხოვრებაც განწირულია სისტემური მიტაცებისა და მორჩილებისთვის.

ამრიგად, საქართველოს სიღარიბის საკითხი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ძალაუფლების, გლობალური სტრუქტურებისა და კულტურული ჩაგვრის ანალიზის სფეროცაა. მის გარშემო არსებული დისკურსი ვერ იქნება გამართული, თუ არ გავითვალისწინებთ იმ სისტემურ იმპერიალისტურ და კოლონიალისტურ ძალებს, რომლებიც მუდმივად ახდენენ სოციალური ჩაგვრის კვლავწარმოებას - გლობალურ და ადგილობრივ დონეზე.

5. გამოსავლის ძიებაში

სიღარიბის ინტერდისციპლინური და კრიტიკული ანალიზი, რომელიც სოციალურად დაუცველ ადამიანებთან ჩატარებულ, ნახევრად სტრუქტურირებულ სიღრმისეულ ინტერვიუებსა და თეორიის სტრუქტურულ ანალიზს ეფუძნება, ცხადყოფს, რომ სიღარიბე ვერ განიხილება მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ან პირადი წარუმატებლობის ჩარჩოში. ის წარმოადგენს მრავალმხრივ და პოლიტიკურად ჩამოყალიბებულ პროცესს, რომლის კვლავწარმოებაც დომინანტური ეკონომიკური სისტემების, სახელმწიფო პოლიტიკებისა და ჰეგემონური დისკურსების საშუალებით ხდება. როგორც ბურდიე აღნიშნავს, ნეოლიბერალური სახელმწიფოები სიღარიბეს „ინდივიდუალური ბრალის“ ფორმად წარმოადგენენ, რასაც საზოგადოების ყურადღება სისტემური პრობლემებიდან ინდივიდზე გადააქვს (Bourdieu P. , 1998). ასეთ რეჟიმში სიღარიბე კონსტრუირდება არა როგორც საერთო სოციალური პასუხისმგებლობა, არამედ როგორც პირადი მარცხი, რითიც სოლიდარობის პოლიტიკის მოშლა და სოციალური უთანასწორობის ლეგიტიმაცია ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის ფესვები ღრმად არის გადგმული გლობალურ ეკონომიკურ სისტემებში, ხოლო ადგილობრივად მართულია პოლიტიკური ნების არარსებობითა და უთანასწორო სტრუქტურირებით, საუბარი ალტერნატიულ რეალობაზე აუცილებელია. მხოლოდ კრიტიკული ანალიზის მეშვეობით, რომელიც სიღარიბის წარმოების სისტემურ საფუძვლებს ამხელს ან/და აღწერს, არ არის შესაძლებელი რეალური ცვლილება - საჭიროა იმ პოლიტიკისა და პრაქტიკის დანახვა, რომელიც სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური თანასწორობისკენ მიისწრაფვის. სწორედ ამისთვისაა საჭირო იმის აღიარება, რომ სიღარიბის დაძლევა მხოლოდ ინდივიდუალური ძალისხმევით შესაძლებელი არაა, არამედ საჭიროებს პოლიტიკის მასშტაბურ გარდაქმნას, რომელსაც საფუძვლად თანასწორობის, სოლიდარობისა და საზოგადოებრივი სიკეთის პრინციპები ედება. ამის მეტ-ნაკლებად წარმატებული მაგალითები არსებობს თანამედროვე მსოფლიოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკანდინავიური მოდელი, რომელიც სოციალური დემოკრატიის ჩარჩოში აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტიანობასა და მაღალი დონის სოციალურ დაცვას. სკანდინავიის რეგიონის ქვეყნები გამოირჩევიან არა მხოლოდ განვითარებული სოციალური პოლიტიკებით, არამედ

მაღალი სოციალური სენსიტიურობითა და ინსტიტუციონალიზებული სოლიდარობის კულტურით. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების კოლექტიური დამოკიდებულება სიღარიბის, სოციალური და კულტურული უთანასწორობის მიმართ, ეფუძნება ღრმა ემპათიას, თანამგრძნობ პასუხისმგებლობასა და სამართლიანობის მორალურ პრინციპებს. ამ ქვეყნებში სოციალური სახელმწიფოს სტრუქტურები, მათ შორის, უნივერსალური ჯანდაცვა, განათლება, სუბსიდირებული საცხოვრებელი და პროგრესული საგადასახადო პოლიტიკა, მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბესა და უთანასწორობას. როგორც გორან ტერბორნი აღნიშნავს, ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია „ინკლუზიური კაპიტალიზმის მოდელი“, სადაც სოციალური დაცვა არ აღიქმება როგორც საქველმოქმედო აქტი, არამედ როგორც დემოკრატიული თანასწორობის ფორმა (Therborn, 2013). თუმცა ამგვარი მოდელის წარმოება მხოლოდ იმ პირობებში ხდება შესაძლებელი, თუ საკმარისი პოლიტიკური ნება არსებობს. სწორედ პოლიტიკური ნებაა ის კრიტიკული კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს, იარსებებს თუ არა სიღარიბის დაძლევის სახელმწიფოებრივი სტრატეგია. ამიტომ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მხოლოდ მინიმალური დახმარებით არ განისაზღვრება, არამედ რეალური შესაძლებლობების გაფართოებითა და სტრუქტურული ბარიერების აღმოფხვრით.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა არსებული ფორმით ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების რეალურ მხარდაჭერას. მიზნობრივი დახმარების მოდელი, რომელიც დახმარებას მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანებს სთავაზობს, მიზერულს, მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებით - არაეფექტურია, ბიუროკრატიულად გაჭიანურებული, ვერ პასუხობს ცხოვრების დინამიკურად ცვალებად საჭიროებებს და ვერ აკმაყოფილებს ადამიანის საბაზისო მოთხოვნებსაც კი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ფუნდამენტური გარდაქმნა უნივერსალური მოდელისკენ. ერთ-ერთი შესაძლო ალტერნატივაა უნივერსალური საბაზისო შემოსავლის (universal basic income; UBI) მექანიზმი.

UBI-ს იდეა გულისხმობს, რომ ყოველი მოქალაქე სახელმწიფოსგან რეგულარულად იღებს ფიქსირებულ თანხას - სამუშაოს, სოციალური სტატუსის ან უნარების გათვალისწინების გარეშე. ეს შემოსავალი საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებული არ არის, არამედ გარანტირებული, უპირობო მხარდაჭერის ფორმაა, რომელიც ინდივიდს მინიმალური ცხოვრების სტანდარტით უზრუნველყოფს. როგორც ფილოსოფოსი ფილიპ ვან პარისი აღნიშნავს, *„საბაზისო შემოსავალი არის რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იღებს ყველა მოქალაქე უპირობოდ, რაც მათ საშუალებას აძლევს, უარი თქვან ექსპლუატაციურ სამუშაოზე და სოციალურ ცხოვრებაში შეძლონ შინაარსიანი მონაწილეობა.“* (Vanderborght, 2017) UBI არა მხოლოდ სიღარიბის შემცირების ეფექტიან საშუალებად განიხილება, არამედ ადამიანის ღირსებისა და ფსიქოლოგიური სტაბილურობის განმტკიცების ინსტრუმენტადაც. ის საშუალებას აძლევს ადამიანს, არა მხოლოდ იარსებოს, არამედ იმოქმედოს უფრო თავისუფლად, შექმნას, ისწავლოს, იზრუნოს სხვებზე ან დაისვენოს, ეკონომიკური გადარჩენის მუდმივი ზეწოლის გარეშე.

ამ იდეის პრაქტიკულ ილუსტრაციას გვთავაზობს კანადის ექსპერიმენტი, რომელიც პირველად 1970-იან წლებში, მანიტობაში და შემდეგ ონტარიოს პროვინციაში (2017-2019) ჩატარდა, სადაც 4000-მდე ადამიანს თვიური საბაზისო შემოსავალი მიეცა. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა მთავრობამ, ორივე შემთხვევაში, პროგრამა ნაადრევად შეწყვიტა, წინასწარი შეფასებები აჩვენებდა პოზიტიურ ტენდენციებს: შემცირდა სტრესის დონე, გაუმჯობესდა

ჯანმრთელობა და ფინანსური სტაბილურობა, ადამიანებმა დაიწყეს განათლებასა და მცირე მეწარმეობაში ინვესტირება. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, კლების ნაცვლად, მუშაობის მოტივაციამ იმატა. როგორც ერთ-ერთი ანგარიში აღწერს: *„პროგრამის მონაწილეები თავს გრძნობდნენ კარგად, ჰქონდათ შემცირებული სტრესი და შფოთვა. ასევე, გამოხატავდნენ მზაობას, დაეგეგმათ მომავალი.“* (al, 2020) UBI-ს იდეა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური ბიუროკრატია, ხშირად, განვითარების დამაბრკოლებელი ან/და რეპრესიული ხასიათისაა. საქართველოსთვის, სადაც სოციალური დაცვის სისტემა ხშირად შერჩევითია და შანტაჟის მექანიზმადაც კი გამოიყენება, უნივერსალური საბაზისო შემოსავალი შეიძლება გახდეს ღირსების, თანასწორობისა და ფსიქოსოციალური უსაფრთხოების ერთ-ერთი ფუნდამენტი.

უნივერსალური საბაზისო შემოსავალი მხოლოდ ერთ-ერთი მოდელია იმ მრავალი პოლიტიკიდან, რომელსაც შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სოციალური სამართლიანობის მიღწევის გზებზე მსჯელობისას ხშირად ყურადღება გამახვილებულია ისეთ მექანიზმებზეც, როგორიცაა, პროგრესული საგადასახადო სისტემა, ქონების გადასახადები, შრომითი უფლებების გაძლიერება, საჯარო სერვისების (ჯანდაცვა, განათლება, საცხოვრებელი) უნივერსალიზაცია და სამართლიანი ანაზღაურების პოლიტიკა.

პროგრესული გადასახადების სისტემა, რომლის მიხედვითაც, მაღალი შემოსავლების მქონე პირები უფრო მაღალ პროპორციულ გადასახადს იხდიან, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შემოსავლების გადანაწილების თვალსაზრისით. როგორც თომას პიკეტი აღნიშნავს, თანამედროვე კაპიტალისტურ სისტემაში, უთანასწორობის მთავარი მამოძრავებელია შრომის შემოსავლებთან შედარებით კაპიტალის შემოსავლის ზრდა, რაც საჭიროებს „კომპენსატორულ ფისკალურ პოლიტიკას“ (Piketty, 2014). იგი აღნიშნავს, რომ ძალიან მაღალი უთანასწორობა არა მხოლოდ სოციალურ დაპირისპირებას აღვივებს, არამედ ძირს უთხრის დემოკრატიულ სტაბილურობას. ამიტომ პროგრესული გადასახადები არ უნდა აღიქმებოდეს როგორც ეკონომიკური მექანიზმი, არამედ როგორც პოლიტიკური სტაბილურობისა და სოლიდარობის საფუძველი. გარდა ამისა, საჯარო ინვესტიციების გაზრდა ჯანდაცვისა და განათლების სფეროში, სოციალური ინფრასტრუქტურის გაძლიერება, ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიანი გზაა სიღარიბის შემცირებისთვის.

ეს არგუმენტები ხაზს უსვამს, რომ სოციალური პოლიტიკის რადიკალურად უფრო თანასწორი მოდელების დანერგვა, იქნება ეს საბაზისო შემოსავალი, პროგრესული გადასახადები, უნივერსალური სერვისები თუ შრომის რეფორმები, შესაძლებელია და არსებული მაგალითებით გამართლებული მაშინ, როდესაც არსებობს პოლიტიკური ნება და ხედვა გრძელვადიანი სოციალური სარგებლის მიმართულებით. რა თქმა უნდა, საქართველოს კონტექსტში, ამ მიდგომებს აქვს თავისი გამოწვევები, მაგალითად, იქნება ეს დიდი წილი არაფორმალური ეკონომიკისა, შეზღუდული ბიუჯეტური რესურსი თუ ეკონომიკური არასტაბილურობა, თუმცა ნების შემთხვევაში, ამ გამოწვევების გადაჭრის გზები არსებობს. სოციალური რეფორმების განხორციელება შეუძლებელია მხოლოდ ეკონომიკური გათვლებით. საჭიროა გრძელვადიანი სოციალური სამართლიანობის სტრატეგია. მათ შორის, საზოგადოებრივი მხარდაჭერა, არსებული მდგომარეობის ზუსტი ანალიზი და შეფასება. საქართველოს, ყველა შემთხვევაში, შეუძლია დააფინანსოს თავისი სოციალური პოლიტიკა ისე,

რომ იმუშაოს არა მხოლოდ „ცარიელი“ ეკონომიკური ზრდისთვის, არამედ ადამიანების ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

თუმცა არსებულ რეალობაში პრობლემა კიდევ უფრო მძიმეა - ავტორიტარიზმის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან საზოგადო სიკეთეზე ორიენტირებული პოლიტიკის მოლოდინი, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა. ასეთ რეჟიმში მმართველი ძალა არ ავითარებს არსებით სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებს. უფრო მეტიც, იმ პირობებში, როდესაც დამოუკიდებელი ინსტიტუციები პრაქტიკულად გაუქმებულია, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს შეჩერებული აქვს ფუნქციონირება და ზეწოლა მზარდია, ხოლო თავისუფალი მედიის სივრცე მკვეთრად ვიწროვდება, არსებული პრობლემების გამჟღავნება, საზოგადოებრივი დისკუსია და კრიტიკული შეფასებების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია. სავარაუდოდ, მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება სიღარიბე და სოციო-ეკონომიკური უთანასწორობა, ხოლო ამის პარალელურად, კიდევ უფრო გართულდება სოციალური და ეკონომიკური საკითხების სიღრმისეული კრიტიკა, მით უფრო, იმ უწყებებთან არგუმენტირებული კომუნიკაცია, რომლებიც საჯარო პოლიტიკის დაგეგმვასა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაზე არიან პასუხისმგებელი. ასეთ გარემოში საზოგადოებრივი დიალოგი და მექანიზმები, რომლებიც სისტემურ ცვლილებებს უნდა უზრუნველყოფდნენ, პრაქტიკულად პარალიზებულია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სამომავლო ცვლილებები თეორიულად შესაძლებელია, არსებული პოლიტიკური რეალობა და მათი ინტერესი პროგრესზე ორიენტირებული არ არის.

საზოგადოებრივი ნება და სამოქალაქო აქტიურობა მართლაც არსებით ფაქტორებს წარმოადგენენ სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისათვის. თუმცა, თავად ეს ნება ვერ ჩაითვლება გარანტირებულ მოცემულობად. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქალაქეთა პოლიტიკური მოქმედების უნარი მჭიდრო კავშირშია არა მხოლოდ მათ ეკონომიკურ სტატუსთან, არამედ სიმბოლურ, ინტელექტუალურ და კულტურულ კაპიტალთან. საზოგადოება, რომელსაც არ აქვს წვდომა ისეთ საბაზისო საჭიროებებზე, როგორიცაა, საცხოვრებელი, განათლება, ჯანდაცვა და სტაბილური შემოსავალი, ხშირად ვერ ყალიბდება პოლიტიკურ სუბიექტად და, მით უმეტეს, აქტიურ სუბიექტად. შედეგად, სოციალური მოთხოვნების არტიკულაციაც მხოლოდ იმ პირობით ხდება, თუ არსებობს მინიმალური ეკონომიკური უსაფრთხოება, რაც ბურდიეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ქმნის „საყრდენ სტრუქტურას“ პოლიტიკური აგენტობისთვის (Bourdieu P. , 1998). ეს ქმნის ერთგვარ ციკლურ მექანიზმს, რომელსაც მიშელ ფუკო ბიოპოლიტიკისა და მმართველობის ტექნოლოგიების ანალიზში გვაწვდის: სისტემა ჯერ სოციალურად დაუცველ სხეულებს ქმნის მმართველობითი განაწილებისა და ეკონომიკური სტრუქტურების გზით, შემდეგ კი მათვე უბრუნებს პასუხისმგებლობას საკუთარი მდგომარეობის გამო (Foucault M. , 2008). ასეთ პირობებში, საპროტესტო თუ ნებისმიერი კოლექტიური ქმედება მხოლოდ მორალური არჩევანი აღარაა, არამედ ეკონომიკურად დაუშვებელი ფუფუნება. პოლიტიკური სუბიექტურობა პრივილეგიაა. შესაბამისად, საზოგადოება, რომელიც სიღარიბეში იმყოფება, არა მხოლოდ მატერიალურად, სიმბოლურადაც გამოირიცხება პოლიტიკური სუბიექტურობისგან.

ასე ყალიბდება დახურული წრე - უღარიბესი ფენები, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან სოციალური პოლიტიკის ნაკლებობას, არიან ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილნი იმ პოლიტიკურ სისტემაში, რომლისგანაც ცვლილებები უნდა მოითხოვონ. ამ მოცემულობას უკვე

კრიტიკული სოციალური თეორიაც აღიარებს, როგორც „პოლიტიკური უმწეობის სტრუქტურულ პირობებს“ (Fraser N. , 2003). ამიტომ, აუცილებელია, დავინახოთ, რომ პოლიტიკური ნება, როგორც კოლექტიური ძალა, ვერ იარსებებს იქ, სადაც ადამიანებს არ გააჩნიათ მინიმალური სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები, რომელიც მათთვის შესაძლებლობას ქმნის, გამოხატონ უკმაყოფილება, მოითხოვონ ცვლილებები და იბრძოლონ სამართლიანობისთვის.

სოციალური უსამართლობის გამძაფრებული გლობალური და ლოკალური გარემოებების ფონზე, უფრო გასაგები და რელევანტური ხდება ანტონიო გრამშის საკვანძო მაქსიმა: „ინტელექტის პესიმიზმი, ნების ოპტიმიზმი“ (Gramsci, 1971). ეს ფორმულა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძალაუფლების სტრუქტურები, ადამიანებში მორალურ, ემოციურ და სიმბოლურ ფრუსტრაციას იწვევს, რაც კოლექტიური ორგანიზებისა და პოლიტიკური მოქმედების უნარს ბლოკავს. გრამშის ეს მოსაზრება გულისხმობს ინტელექტუალური ცნობიერების იმ პესიმისტურ შეფასებას, რომელიც რეალურად აღწერს სისტემური ჩაგვრის მასშტაბს, მაგრამ, ამავე დროს, იწვევს აქტიური ნების მობილიზაციას ამ ჩაგვრის წინააღმდეგ. პოლიტიკური მოქმედება, როგორც კრიტიკული ვნება, არა მხოლოდ რეალობის სწორი დიაგნოსტირების შედეგია, არამედ უკეთესი სოციალური შესაძლებლობებისთვის ნებისა და იმედის პროექციაა. როგორც ერიკ ოლინ რაიტი აღნიშნავს, *„უტოპიური აზროვნება არ არის ესკაპისტური, არამედ ის არის გაზისი ტრანსფორმაციული ქმედებისა“* (Wright, 2010). მსგავსი მოქმედება, ბუნებრივია, შეუძლებელია ინდივიდუალურ დონეზე. საჭიროა კოლექტიური, ინტერსექციური ხედვა - ჩაგვრის მრავალფეროვანი ფორმების - კლასის, გენდერის, ეთნოსის, სექსუალობისა და ჯანმრთელობის სტატუსის გადაკვეთისა და გათვალისწინების გზით. როგორც კიმბერლი კრენშო აღნიშნავს, ინტერსექციურობა გვაიძულებს, ვხედავდეთ, რომ უთანასწორობა ერთგანზომილებიანი არ არის, არამედ ის ქმნის გადაკვეთის ველებს, სადაც ადამიანები მრავალმხრივ მარგინალიზაციას განიცდიან (Crenshaw, 1991).

ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ღირსეულად ცხოვრების ნება, მხოლოდ აბსტრაქტული მორალური იმპულსი არ არის, არამედ პოლიტიკურად მომართული ენერგია, რომელიც კოლექტიური მოქმედების ფორმებს საჭიროებს - სამოქალაქო თვითორგანიზებას, პროტესტს, შრომით სოლიდარობასა და ფართო სოციალური ალიანსების შექმნას. *„ჩაგრულთა განათლება“ მაშინ იწყება, როდესაც ისინი საკუთარი ისტორიულობის გააზრებას იწყებენ და აცნობიერებენ, რომ ცვლილებების აქტიური სუბიექტები თავად შეიძლება გახდნენ“* (Freire, 1970). კოლექტიური ნება, რომელიც ამ ცნობიერებით იკვებება, წარმოადგენს პოლიტიკურ რესურსს სისტემური ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. მნიშვნელოვანია, რომ კოლექტიური მოქმედება ეფუძნებოდეს არა მხოლოდ სოლიდარობის იდეას, არამედ თვითტრანსფორმაციის უნარსაც - ცნობიერების, იდენტობების, ღირებულებებისა და საკუთარი პოლიტიკური როლის გადაფასებას, რაც პოლიტიკური ემანსიპაციის საფუძველია. როგორც ფრეირე ამბობს: *„არავინ ათავისუფლებს სხვას და ვერც მხოლოდ საკუთარი თავი გვათავისუფლებს ჩვენ. ადამიანები ურთიერთგათავისუფლებას თანმიმდევრული ქმედებებით აღწევენ“.* (Freire, 1970)

მიზანი არ არის მხოლოდ გადარჩენა, არამედ ღირსეული არსებობა, რაც არა მხოლოდ სოციალურ სოლიდარობას, არამედ სტრატეგიულად თანმიმდევრულ, ინკლუზიურ, ინტერსექციურად მობილიზებულ ქმედებებს მოითხოვს.

ბიბლიოგრაფია

ცენტრი, ს. ს. (2024). *მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა და მისი კავშირი არჩევნების შედეგებთან საქართველოში.*

პუბლიკა. (2023). როგორ მუშაობს სოციალური დახმარების სისტემა საქართველოში და რატომ რჩება უამრავი ადამიანი ყურადღების მიღმა.

აიფაქტი. (2024). *სოციალურად დაუცველების დაშინება და შანტაჟი - როგორ ემზადება "ქართული ოცნება" არჩევნებისთვის.*

სააგენტო, ს. ს. (2025).

თავისუფლება, რ. (2023). სოციალურ შემწეობას 672 ათასი ადამიანი იღებს - ეს ისტორიული მაქსიმუმია.

თავისუფლება, რ. (2024). ამდენი ემიგრანტი საქართველოს არასდროს ჰყოლია? - რატომ და სად მიდიან სამშობლოდან.

al, G. e. (2020). *Southern Ontario Basic Income Experience Report.*

APA. (2023). American Psychological Association.

Bank, W. (2002). *Transition: The First Ten Years – Analysis and Lessons for Eastern Europe and the Former Soviet Union.* World Bank.

Bourdieu, P. (1984). A Social Critique of the Judgement of Taste. Harvard University Press.

Bourdieu, P. (1998). Acts of Resistance: Against the New Myths of Our Time. *Polity Press*.

Bourdieu., P. (1990). The Logic of Practice. *Stanford University Press*.

Brown, W. (2015). *Undoing the Demos: Neoliberalism's Stealth Revolution.* Zone Books.

Cobb, S. &. (1993). The Hidden Injuries of Class.

Crenshaw, K. (1991). Mapping the Margins: Intersectionality, Identity Politics, and Violence against Women of Color. Stanford Law Review.

Debord, G. (1967). *The Society of the Spectacle.* Zone Books.

Žižek, S. (2008). *Violence: Six Sideways Reflections.* Picador.

Federici, S. (2004). Caliban and the Witch: Women, the Body and Primitive Accumulation. *Autonomedia*.

Foucault, M. (1976). Society Must Be Defended: Lectures at the Collège de France.

Foucault, M. (1977). *Discipline and Punish: The Birth of the Prison.* Pantheon Books.

Foucault, M. (2008). *The Birth of Biopolitics.* Palgrave Macmillan.

Fraser, N. (2003). *Social Justice in the Age of Identity Politics: Redistribution, Recognition, and Participation.* Verso.

Fraser, N. (2013). *Fortunes of Feminism: From State-Managed Capitalism to Neoliberal Crisis.* Verso Books.

Freire, P. (1970). *Pedagogy of the Oppressed.* New York: Continuum.

geostat.ge. (n.d.).

Gramsci, A. (1971). *Selections from the Prison Notebooks.* New York: International Publishers.

Harvey. (2003). *The New Imperialism.*

Harvey, D. (2005). A Brief History of Neoliberalism. *Oxford University Press*.

Haushofer, J. &. (2014). On the psychology of poverty.

IMF. (2000). *Transition Economies: An IMF Perspective on Progress and Prospects.*

Levitsky, S. &. (2018). *How Democracies Die.*

Lund, C. B.-S. (2020). Social determinants of mental disorders and the Sustainable Development Goals: a systematic review of reviews. *The Lancet Psychiatry*.

Piketty. (2014). *Capital in the Twenty-First Century.*

Piketty, T. (2020). Capital and Ideology. *Harvard University Press*.

Sartre. (1956). Being and Nothingness.

Seligman, M. E. (1975). *Learned Helplessness Theory.*

socialjustice.org.ge. (n.d.).

Spivak, G. (1988). Can the Subaltern Speak? University of Illinois Press.

Therborn, G. (2013). The Killing Fields of Inequality. *Polity Press.*

Tyler, I. (2013). Revolting Subjects.

Vanderborght, V. P. (2017). *Basic Income: A Radical Proposal for a Free Society and a Sane Economy.*

Wacquant, L. (2009). *Punishing the poor: the neoliberal government of social insecurity.*

Wallerstein, I. (2004). World-Systems Analysis: An Introduction. *Duke University Press*.

Wright, E. O. (2010). *Envisioning Real Utopias.* Verso Books.